# ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის

# საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2023 წელი

# სარჩევი


მმართველობის სკოლის პროგრამები ..... 3
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ..... 3
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ..... 9
ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა ..... 15
საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა ..... 20
გარემოსდაცვითი მენჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა ..... 24
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა ..... 29
სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროგრამები ..... 32
გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ..... 32
ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ..... 35
პოლიტიკის მეცნიერებების საბაკლავრო პროგრამა ..... 38
სოციალური მეცნიერებების საბაკლავრო პროგრამა ..... 42
სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ..... 45
ფსიქოლოგიის საბაკალვრო პროგრამა ..... 50
სამართლისა და პოლიტიკის სკოლის პროგრამები ..... 54
სამართლის საბაკალავრო პროგრამა ..... 54

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა ..... 59
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ..... 63
საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ..... 67
ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლის პროგრამები ..... 70
აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა ..... 70
ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა ..... 78
საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ..... 83
მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ..... 87
სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა ..... 90
უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები ..... 94

# მმართველობის სკოლის პროგრამები

## ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business Administration |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული / ინგლისურენოვანი კომპონენტებით (არჩევითი) |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.<br><br>დაინტერესებული პირები საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ერთიან ეროვნული გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები:<br><br>• ქართული ენა და ლიტერატურა;<br>• უცხო ენა: ინგლისური, ან ფრანგული, ან გერმანული, ან რუსული;<br>• მათემატიკა, ან ისტორია. | **დასაქმების სფერო:**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს წარმატებით იმუშაოს კერძო, საჯარო და საზოგადოებრივ სექტორში. |

## პროგრამის მიზანი:

ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს **შესძინოს**:

- ფართო ცოდნა ბიზნესის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, მიმართულებების შესახებ.
- საბაზისო ცოდნა ბიზნესის შესაბამის მიმართულებებში - ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, პროექტის მართვა.

ბიზნესის  საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს **გამოუმუშავოს**:

- ბიზნეს სიახლეებისადმი ყურადღების  მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- ბიზნესის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ბიზნესის სფეროში პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და ბიზნეს ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

ბიზნესის  საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია **აღზარდოს**:

- მეწარმე მოქალაქე, რომელსაც შეეძლება საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, დაინტერესებული მხარეების ჩართვა, გადაჭრის გზების მოძიება და ალტერნატივების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღება, მისი განხორციელება და შედეგამდე მიტანა.

პროგრამის მიზნებს საფუძვლად უდევს კომუნიკაცია საქართველოში მოქმედი ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან და ამ კომუნიკაციის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები, შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზი, კონკურენტი პროგრამებისა და ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზი, პროგრამაში ჩართული ლექტორ-მასწავლებლების რეკომენდაციები, წინა წლების სასწავლო პროცესის ანალიზი, სტუდენტების მხრიდან მიღებული შეფასებები და რეკომენდაციები.

დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის წინამდებარე სასწავლო გეგმა, რომელიც აგებულია აგებულია კლასიკური თეორიული საგნების და პრაქტიკის სინთეზზე. პრაქტიკული კურსი საშუალებას აძლევს ჩვენს სტუდენტებს სწავლების პირველი დღიდან

ჩაერთონ ბიზნესის რეალურ სამყაროში, ხოლო კურსდამთავრებულებს გააჩნდეთ როგორც აუცილებელი თეორიული საფუძვლები, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრისთვის.

## სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

**ცოდნა და გაცნობიერება** - ბაკალავრი ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს კომპლექსურ ცოდნას; იგი იცნობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ძირითად საკითხებს, აკავშირებს თეორიებსა და პრინციპებს და აქვს უნარი მათი კრიტიკული გააზრებისა. განსაზღვრავს დარგის სტრუქტურას, სისტემებსა და ინსტიტუტებს.

ბაკალავრი იცნობს ბიზნესის მართვის საფუძვლებს, მის ძირითად პრინციპებსა და თეორიებს. ბაკალავრს აქვს წარმოდგენა საერთაშორისო ბიზნესის მახასიათებლების შესახებ და გაცნობილია ოპერაციათა მენეჯმენტის ძირითად ასპექტებს. ბაკალავრი იცნობს მართვის ძირითად მოდელებს და გააზრებული აქვს მათი გამოყენების თავისებურებები სხვადასხვა გარემოში. ბაკალავრი ერკვევა მიკრო და მაკროეკონომიკურ პროცესებში და გააზრებული აქვს ეკონომიკის და ბიზნესის ურთიერთკავშირი; მას შესწავლილი აქვს ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების მუშაობის ძირითადი პრინციპები. ბაკალავრი ერკვევა საგადასახადო პოლიტიკაში და აფასებს საფინანსო პოლიტიკის გავლენას ბიზნესზე. ბაკალავრი იცნობს ინვესტიციების თეორიებსა და ძირითად ცნებებს, საფინანსო სისტემებს და მათი ფუნქციონირების თავისებურებებს. ბაკალავრი ფლობს ტექნიკურ ცოდნას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ალბათობა, სტატისტიკა და ფინანსური აღრიცხვა და ესმის მათი გამოყენების საჭიროება. ბაკალავრს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი მარკეტინგის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, მეთოდები და მათი გამოყენების საშუალებები. ბაკალავრი იცნობს მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგიას. ბაკალავრი ფლობს ბიზნეს პროექტის შექმნისა და განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკურ ცოდნას. ბაკალავრი იცნობს ბიზნეს ეთიკის ძირითად პრინციპებს. ბაკალავრი გაცნობილია სამართლის საფუძვლებს და ესმის ბიზნეს სამართლის ძირითადი ასპექტები.

**უნარი** - სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ბაკალავრი შეძლებს მის პრაქტიკაში გამოყენებასა და დანერგვას. სასწავლო პროცესით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები, მათ შორის რეალურ ბიზნეს პროექტებზე მუშაობა და სავალდებულო სასწავლო პრაქტიკა ბაკალავრს ცოდნის

პრაქტიკაში გამოყენების უნარს უძლიერებს. ბაკალავრს შესწევს უნარი, შეაგროვოს პრაქტიკული კვლევითი თუ ბიზნეს პროექტის დასამუშავებლად საჭირო მონაცემები. მოახდინოს ანალიზი სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით ალბათობა/სტატისტიკის კურსის ფარგლებში შეძენლი ცოდნის საფუძველზე, ასევე მოახდინოს მიღებული შედეგების განყენებული ინტერპრეტირება მარკეტინგული კვლევის კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე.

ბაკალავრს აქვს უნარი გამოიყენოს მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულ ვითარებაში სწავლების განმავლობაში გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების განხორციელების საფუძვლეზე. ბაკალავრი ითვისებს ისეთ გამოყენებით უნარებს, როგორებიცაა მმართველობითი დილემის ამოცნობა და შესაბამისი გადაჭრის გზის შემუშავება, მარკეტინგული გეგმის შემუშავება, ბიზნესის ფინანსური გეგმის შემუშავება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გამოყენება ანალიზისა და დაგეგმვისათვის.

ბაკალავრი სასწავლო პროცესში ეცნობა ეკონომიკის პრინციპებს, რაც მას აძლევს საშუალებას გააკეთოს რეალობაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ადეკვატური შეფასება. ბაკალავრს აქვს ბიზნესის სფეროში წამოჭრილი პრობლემების დანახვისა და შეფასების, ასევე მათი ადეკვატური გადაჭრის გზების შემუშავების უნარი.

სასწავლო პრაქტიკა სწავლების ბოლოს აძლევს ბაკალავრს საშუალებას, რეალურ ორგანიზაციულ კონტექსტში, პრაქტიკულად გამოიყენოს მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარები.

ბაკალავრს შესწევს უნარი, შეაგროვოს და დაამუშავოს ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი ინფორმაცია, მოახდინოს მისი სინთეზი და გააკეთოს დასაბუთებული დასკვნები; ბაკალავრს შეუძლია სტანდარტული ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

ბაკალავრს შესწევს უნარი ამოიცნოს პრობლემა, გააკეთოს სიტუაციის ანალიზი და შეიმუშავოს ადეკვატური დასკვნები როგორც სფეროსათვის დამახასიათებელი, ასევე ახლებური მიდგომების გამოყენებით.

ბაკალავრს აქვს ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში არსებული პრობლემების შეცნობისა და მათი ანალიზის უნარი. ბაკალავრს შეუძლია, განსაზღვროს, რა ტიპის ინფორმაციის შეგროვებაა საჭირო მოცემული პრობლემის ანალიზისათვის, იქნება ეს ფინანსური, მარკეტინგული, მმართველობითი თუ სტრატეგიული პრობლემა. ბაკალავრს შესწევს უნარი, შეაგროვოს ამგვარი ინფორმაცია და მისი სინთეზის საფუძველზე გააკეთოს დასკვნები პრობლემის გადაჭრის ფინანსური, მარკეტინგული, მმართველობითი თუ სტრატეგიული ხერხების შესახებ. ბაკალავრს ასევე შეუძლია, დიდი რაოდენობის ინფორმაციის ფონზე შეაფასოს, რა ტიპის ინფორმაციაა ძირითადი, და მისი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს დასკვნები. სწავლის პროცესით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები აჩვევს ბაკალავრს, გაიაზროს მიღებული ფინანსური, აღწერილობითი და ანალიტიკური ინფორმაციია და შეიმუშავოს დასაბუთებული არგუმენტაცია. ბაკალავრი სწავლობს, როგორ მოახდინოს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის, მოვლენების შეფასება და მათ შორის კავშირის დანახვა, ასევე ინფორმაციის არარსებობის პირობებში პრობლემის ფორმულირება და ადეკვატური დასკვნების გამოტანისათვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა.

იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

ბაკალავრი ითვისებს მშობლიურ ენაზე აკადემიური და ტექნიკური ნაშრომების შექმნის, კვლევითი და ბიზნეს პროექტების ზეპირი და ნაწილობრივ წერილობითი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას. უცხო ენის შესწავლა საშუალებას აძლევს ბაკალავრს, გაეცნოს ლიტერატურას სხვა ენებზეც და გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია კომუნიკაციისას. ბაკალავრს აქვს უნარი ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი ინფორმაცია, შემდეგ კი მასზე დაყრდნობით მონაწილეობა მიიღოს ბიზნეს გეგმის, მარკეტინგული გეგმის, ფინანსური ანგარიშგების, სტრატეგიული გეგმის დამუშავებაში. ბაკალავრს აქვს  უნარი წარუდგინოს საკუთარი ნაშრომი

საზოგადოებას ზეპირი პრეზენტაციის სახით და გაამყაროს საკუთარი მოსაზრებები დასაბუთებული არგუმენტებით. ბაკალავრი ითვისებს მისთვის უცხო გარემოში სწორი კომუნიკაციის, დროული ადაპტაციისა და ადეკვატური რეაგირების მეთოდებს. ასევე, ბაკალავრი ეჩვევა გუნდში მუშაობისას ნაყოფიერი კომუნიკაციის დამყარებას, მოცემულ საკითხზე დისკუსიაში ჩართვას და  კრიტიკული შენიშვნების ჩამოყალიბებას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა -** სწავლების პროცესში გამომუშავებული უნარები საშუალებას აძლევს ბაკალავრს, შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი, დაინახოს არსებული სიძნელეები თუ გამოწვევები და გააცნობიეროს მისი თავისებურებები. სწავლის პროცესის დროს გამოყენებული მეთოდიკა უვითარებს სტუდენტს ავტონომიური გადაწყვეტილების უნარს თვითონ განსაზღვროს საკუთარი სწავლის პროცესი მომავალში, მოახდინოს შემდგომი საჭიროებების დადგენა და მომავალი სწავლის პროცესის დაგეგმვა.

ბაკალავრს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა. ბაკალავრს შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით; აქვს ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიახლეების  და უახლესი მეცნიერული მიღწევებისათვის თვალის მიდევნების და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს შესწევს უნარი, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე და გააგრძელოს ცოდნის გაღრმავება.

ბაკალავრს შეუძლია უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

ბაკალავრი ორიენტირებულია ბიზნესში ეთიკის პრინციპების დაცვაზე, აქვს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და აღჭურვილია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით. სწავლების პროცესში ბაკალავრი ჩაბმულია პროფესიულ სიტუაციებში ეთიკური გადაწყვეტილების მიღებისა და ეთიკური დილემების შესახებ დისკუსიაში. ბაკალავრს ესმის ბიზნეს საქმიანობის წარმოებისას საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისა და მომხმარებლების ინტერესებისა და ღირებულებების პატივისცემის მნიშვნელობა. ბაკალავრი მოტივირებულია, რომ დაიცვას ეთიკის ნორმები, მომავალ თანამშრომლებთან, კონკურენტებთან და მომხმარებლებთან მიმართებაში. საქმიანობისას ბაკალავრი აცნობიერებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების

თავისებურებებს და ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს. ბაკალავრს ესმის ისეთი ფასეულობების მნიშვნელობა, როგორიცაა ადამიანის კეთილდღეობა, სოციალური პასუხისმგებლობა, ეკოლოგია და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად; საჭიროების შემთხვევაში კი მზადაა, მიიღოს მონაწილეობა ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** აქ.

# ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი/Master of Business Administration |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.<br><br>საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები რომლებიც:<br><br>• წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას;<br>• წარმატებით გაივლიან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გასაუბრებას/გამოცდას სპეციალობაში;<br>• წარმატებით ჩააბარებენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ინგლისურ ენაში (B 2 დონე). | **დასაქმების სფერო:**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ წარმატებით იმუშაონ როგორც კერძო, ასევე საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში. |

**პროგრამის მიზანი:**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მეწარმე-მენეჯერები, რომლებიც წარმატებით შეძლებენ პრობლემური ორგანიზაციების გამართვასა და კერძო, საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

აღნიშნულის მისაღწევად, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა:**

- ბიზნესის ძირითად მიმართულებებში: მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, ოპერაციები (ბიზნესის ცოდნა);

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **გამოუმუშავოს:**

- კროს-დისციპლინარული მიდგომით პრობლემების გადაწყვეტისა და ცვლილებების გატარების უნარი (პრობლემების გადაწყვეტა და ცვლილებები);
- კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, პრობლემის გადაწყვეტისას შედეგებზე ორიენტირებული ხედვის ჩამოყალიბების, სტრატეგიისა და გეგმის განსაზღვრის, განხორციელებისა და არგუმენტირებული დასკვნის უნარი (სტრატეგიული მიდგომა);
- მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და გამოცდილება (პრაქტიკული გამოცდილება);
- კვლევისა და კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი (კვლევა);
- კომუნიკაციის უნარი (კომუნიკაცია);
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და პროფესიული ზრდისკენ მუდმივი სწრაფვის უნარი (სწავლა);
- საკუთარი და სხვათა ღირებულებათა სისტემის შეფასებისა და ადეკვატურად აღქმის, ასევე, ახალი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი (ღირებულებები);

**სწავლის შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

მაგისტრი ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას; მას შეუძლია სფეროს სხვადასხვა საკითხების, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება და ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება, ასევე, ახალი, ორიგინალური იდეების გენერირება.

- მაგისტრს აქვს ბიზნესის შემადგენელი ელემენტების - მენეჯმენტის, ოპერაციების, ფინანსების, მარკეტინგის პრინციპებისა და თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა; ფლობს მართვის მოდელების ცოდნას, შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება და გაანალიზება, სხვადასხვა გარემოში შესაბამისი მართვის მოდელის

- გამოყენება. მაგისტრი ფლობს ცოდნას ორგანიზაციის ბიზნეს პროცესების თავისებურებების, ოპერაციათა და პროექტის მართვის, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკის შესახებ.
- მაგისტრი ფლობს ტექნიკურ ცოდნას ისეთ სფეროებში, როგორიცაა სტატისტიკა, ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვა და რეპორტინგი, აანალიზებს მათი გამოყენების საჭიროებას და შეუძლია მათი პრაქტიკაში გამოყენება; მაგისტრი სიღრმისეულად ერკვევა ინვესტიციების არსში, ფინანსური ანალიზის მეთოდებში, საგადასახადო პოლიტიკაში და აფასებს საფინანსო პოლიტიკის გავლენას ბიზნესზე;
- მაგისტრს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი მარკეტინგის საფუძვლები, თეორიები, მეთოდები, მათი გამოყენების საშუალებები და შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება. მაგისტრი ფლობს მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგიას, ბრენდინგის პრინციპებსა და გაყიდვების თავისებურებებს; ესმის ორგანიზაციული და მომხმარებლის ქცევის თავისებურებები; მაგისტრი ფლობს სიღრმისეულ ცოდნას გლობალური ბაზრებისა და საერთაშორისო ბიზნესის სპეციფიკის შესახებ;
- მაგისტრი სიღრმისეულად ერკვევა მართვის ინფორმაციულ სისტემებსა და სტრატეგიული ლიდერობის ასპექტებში;
- მაგისტრი ფლობს ცოდნას მიკრო და მაკროეკონომიკურ პროცესებში და გააზრებული აქვს ეკონომიკისა და ბიზნესის ურთიერთკავშირი; მას ღრმად აქვს შესწავლილი ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების მუშაობის პრინციპები;
- მაგისტრს აქვს ცოდნა ბიზნეს სამართლის სპეციფიკაში;
- მაგისტრს შეუძლია მართვის საკითხებში ახალი იდეებისა და ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული ხედვის ჩამოყალიბება და ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

მიღებული ცოდნისა და უნარების სასწავლო პროცესის განმავლობაში პრაქტიკული რეალიზაციის ხარჯზე, მაგისტრს გააჩნია გამოცდილება და შეუძლია მისი პრაქტიკაში გამოყენება და დანერგვა. სასწავლო პროცესით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები, მათ შორის სიმულაციები და რეალურ ბიზნეს პროექტებზე მუშაობა, მაგისტრს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს უძლიერებს.

- მაგისტრს შესწევს უნარი განახორციელოს ბიზნეს პროექტი და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად დაგეგმოს და ჩაატაროს კვლევა. მაგისტრს შეუძლია შეიმუშავოს ახალი, ორიგინალური მეთოდები კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად. მაგისტრს შესწევს უნარი, ადეკვატურად იმოქმედოს მისთვის ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში;
- სასწავლო პროცესში გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების, მათ შორის რამდენიმე ბიზნეს პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების, სიმულაციებისა და ბიზნეს თამაშების საშუალებით, მაგისტრი იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ ვითარებაში;
- მაგისტრი ფლობს გამოყენებით უნარებს, როგორებიცაა მმართველობითი დილემის ამოცნობა და მისი გადაჭრის გზების შემუშავება, მარკეტინგული გეგმის შემუშავება და დანერგვა, ბიზნესის ფინანსური გეგმის შემუშავება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გამოყენება ანალიზისა და დაგეგმვისათვის;
- მაგისტრს შეუძლია როგორც პირველადი მონაცემების შეკრება, ასევე, მეორად მონაცემებთან მუშაობა და მათი ანალიზი, პრეზენტაციის მომზადება, ცოდნის ადეკვატური გამოყენება შესაბამის კონტექსტში;

- სხვადასხვა კვლევითი პროექტების და სამაგისტრო ნაშრომის - პრობლემური კომპანიის გამართვისა და მისი ღირებულების ზრდის სტრატეგიისა და გეგმის მომზადების დროს მაგისტრი პრაქტიკულად ითვისებს პროექტის/კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა და ბიზნეს პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;
- მაგისტრს აქვს ბიზნესის სფეროში წამოჭრილი პრობლემების დანახვისა და შეფასების, ასევე მათი ადეკვატური გადაჭრის გზების შემუშავების უნარი. სიმულაციებისა და ბიზნეს თამაშების საშუალებით მაგისტრი ეჩვევა მისთვის ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ადაპტაციისა და პრობლემის გადაწყვეტის ადეკვატური გზების შემუშავების უნარებს. სწავლების პერიოდში მსგავს ამოცანებზე მუშაობა მაგისტრს უვითარებს უნარს, პრობლემის გადასაჭრელად მოიძიოს არამარტო ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდები, შესწავლილი მართვის, მარკეტინგის, ეკონომიკისა თუ სხვა კურსებში. ამას გარდა, მაგისტრს შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად დასახოს ახლებური გზები;
- მაგისტრს შეუძლია ბიზნეს ეთიკის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენება;

**დასკვნის უნარი:**

მაგისტრი ფლობს პრობლემის ამოცნობისა და მისი ჩამოყალიბებისათვის საჭირო სიღრმისეულ ცოდნასა და უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის გზების გასაზღვრა, მათი ეფექტურობის შეფასება, გადაწყვეტილების მიღება და  მისი დასაბუთება. მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან (რთული და თუნდაც არასრული) ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. მაგისტრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და მონაცემების ანალიზის უნარით. შეუძლია მათი სინთეზურად განსჯა.

- მაგისტრს გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრი ფლობს ცოდნას თუ როგორ უნდა შეაფასოს განხორციელებული სამუშაო, მისი ადეკვატურობა დასახულ მიზნებთან, განაზოგადოს მიღებული შედეგები და დაშვებული შეცდომები მომავალი დაგეგმვის პროცესში გამოიყენოს. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს აბსტრაქტული და სტრატეგიული აზროვნების უნარს, რომელიც საშუალებას აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტაციის ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების უნარს;
- მაგისტრს შეუძლია ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში კვლევითი ნაშრომების სიღრმისეულად გაანალიზება, დასაბუთებული პოზიციის გამოყოფა და კომპეტენტური დასკვნის გაკეთება.

**კომუნიკაციის უნარი:**

მაგისტრს შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით ქართულ და ინგლისურ ენებზე, გადასცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები. შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ათვისება და გამოყენება, მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება. პროგრამის სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას.

- მაგისტრს მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია აკადემიური და ტექნიკური ნაშრომების შექმნა, კვლევითი და ბიზნეს პროექტების ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენა, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით. მაგისტრს შეუძლია როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით მიიღოს ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი ინფორმაცია, შემდეგ კი მასზე დაყრდნობით მოამზადოს სხვადასხვა სახის ნაშრომი - ბიზნეს გეგმა, მარკეტინგული გეგმა, ფინანსური ანგარიშგება, სტრატეგიული გეგმა;
- მაგისტრს გააჩნია განსხვავებული აზრის გაგებისა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში წამოჭრილი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი. მას შეუძლია მისთვის უცხო გარემოში სწორი კომუნიკაცია, დროული ადაპტაცია და ადეკვატური რეაგირების მოხდენა.
- მაგისტრს აქვს ლიდერის თვისებები, ასევე, გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარი. სწავლისას მიღებული გამოცდილება მაგისტრს აძლევს შესაძლებლობას დასმული საკითხი არა მარტო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის, არამედ ინტერდისციპლინურ გუნდშიც განიხილოს;
- მაგისტრი ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნას და იყენებს მათ როგორც პრობლემის განსაზღვრისას, ასევე, მისი გადაჭრისას.

**სწავლის უნარი:**

მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის უნარს.

- მაგისტრს აქვს უნარი გაიღრმაოს ცოდნა დამოუკიდებლობად, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე აკადემიური საქმიანობის წარმოებას;
- აქვს ბიზნესის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიახლეების  და უახლესი მეცნიერული მიღწევების თვალის მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით;
- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე და დაკავდეს აკადემიური საქმიანობით.

**ღირებულებები:**

მაგისტრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი ღირებულებათა სისტემა. ასევე, აქვს უნარი  შეაფასოს და ადეკვატურად აღიქვას სხვათა ღირებულებათა სისტემა, გაიზიაროს და პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებში დაიცვას ორივე მხარის უფლებები.

- მაგისტრი იცნობს და აფასებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს;

- მაგისტრს გააჩნია განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი, აქვს სოციალური პასუხიმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი;

- მაგისტრს ესმის ისეთი ღირებულებების მნიშვნელობა, როგორებიცაა ადამიანის კეთილდღეობა, სოციალური პასუხისმგებლობა, ეკოლოგია და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად;
- მაგისტრს აქვს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და აღჭურვილია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით; მაგისტრს აქვს პროფესიულ სიტუაციებში ეთიკური გადაწყვეტილების მიღების, ეთიკური დილემის დროს ობიექტური მსჯელობისა და ანალიზის უნარი;
- მაგისტრი სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობებში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. საქმიანობისას აცნობიერებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების თავისებურებებს და ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს;
- სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, მოქმედებს კეთილსინდისიერად და ორიენტირებულია წარმოდგენილ პირთა ინტერესების დაცვაზე;
- საჭიროების შემთხვევაში წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებასა და დანერგვაში.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** აქ.

# ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საჯარო მმართველობის მაგისტრი |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებიც:<br><br>• წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას;<br>• წარმატებით გაივლიან შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრებას/გამოცდას სპეციალობაში. | **დასაქმების სფერო:** კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ასევე ცენტრალური ხელისფლების მართვის ორგანოებში; კერძო და არასამთავრობო სექტორში. |

**პროგრამის მიზანი:**

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, მმართველობის სკოლის ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი საჯარო მმართველობის სპეციალისტების ჩამოყალიბება. ასევე - პროგრამის მონაწილეების აღჭურვა პოლიტიკური თანამდებობის პირის, მენეჯერისა თუ საჯარო მოხელისთვის იმ საჭირო ცოდნითა და უნარჩვევებით, რომელიც

აუცილებელია ეფექტური გადაწყვეტილების მიღების, არსებული რესურსების სწორად მართვისა და დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობისათვის. პროგრამის მიზანია ხელი

შეუწყოს კურსდამთავრებულების წარმატებულ მოღვაწეობას, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და წარმომადგენლობით ორგანოში, ასევე ცენტრალური მმართველობის დონეზე.

**სწავლის შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

მაგისტრი სიღრმისეულად იცნობს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების, არსის, მიზნების, პრინციპების, ძირითადი თეორიებისა და თვითმმართველობის სისტემების საკითხებს. მიღებული ცოდნის საშუალებით მაგისტრი ახლებურად ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მიმდინარე მოვლენების იდენტიფიცირებას და აღწერას. მაგისტრი აცნობიერებს და აღიარებს ადგილობრივი თვითმმართველობის როლს და მოქალაქეთა თანამონაწილეობის მნიშვნელობას, ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის პროცესში.

მაგისტრი იცნობს საერთაშორისო და უცხოური ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემებს, სრულად ერკვევა მმართველობის ძირითად ტიპებსა და პოლიტიკური პროცესების წარმართვის მთავარ პრინციპებში. მაგისტრი სიღრმისეულად იცნობს ეროვნული სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის სისტემებსა და ნორმებს, იაზრებს სისტემის თავისუბერებებსა და მარეგულირებელ გარემს. მაგისტრი იხილავს ეკონომიკურ პროცესებს, იცნობს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს. მაგისტრი სიღრმისეულად ერკვევა საგადასახადო პოლიტიკაში, კარგად იცნობს გადასახადებისა და მოსაკრებლების გავლენას ბიუჯეტის შევსების პროცესზე, მიმოიხილავს საფინანსო პოლიტიკას საერთაშორისო გამოცდილებასთან მიმართებაში. მაგისტრს შესწავლილი აქვს ქალაქის მართვისა და ურბანული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. იცნობს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების

სტრატეგიული განვითარების ეტაპებს, არამომგებიანი და საჯარო ორგანიზაციების მართვის სპეციფიკას. მაგისტრი პროგნოზირებს და აღწერს რეგულირების გვლენის შეფასებას.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

სასწავლო პროცესში თვითმმართველობის სფეროში არსებული რეალური ქეისების განხილვისა და პრაქტიკული სამუშაოების შესრულების დროს მიღებულ ცოდნასა და გამომუშავებულ უნარებს მაგისტრი იყენებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისათვის. მაგისტრი ეფექტურად იყენებს საჯარო მმართველობის, მუნიციპალური სამართლის, ადგილობრივი თვითმმართველობის და ურბანული პოლიტიკის სფეროში მიღებულ თეორიულ ცოდნას და აქვს უნარი ეს ცოდნა სრულად გამოიყენოს

მმართველობითი პროცესის შეფასებისთვის. მაგისტრი ეკონომიკური კუთხით მიღებული ცოდნის მეშვეობით პროგნოზირებს და უჩვენებს არსებული პობლემების ეფექტურად მოგვარების გზებს. ითვისებს გამოყენებით უნარებს, როგორებიცაა სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების, მეორად მონაცემებთან მუშაობისა და მათი ანალიზის, პრეზენტაციის მომზადების ცოდნის ადეკვატური გამოყენება შესაბამის კონტექსტში. კვლევითი და აკადემიური პროექტების, სადიპლომო ნაშრომების მომზადების დროს მაგისტრი პრაქტიკულად ითავისებს კვლევის სიღრმისეულად წარმართვის უნარს. მაგისტრს აქვს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სფეროში წამოჭრილი პრობლემების ადეკვატური გადაწყვეტისათვის შესაბამისი პროექტების მომზადების და განხორციელების უნარი. სიღრმისეულად ერკვევა პროექტის შემუშავებაში, შეუძლია დაგეგმოს განხორციელების პროცესი და შეიმუშაოს პროცესის შესაბამისი მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები.

**დასკვნის უნარი:**

მაგისტრი ფლობს პრობლემის ამოცნობისა და მისი ჩამოყალიბების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური გზის შერჩევა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება. მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება. მაგიტრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და მონაცემების ანალიზის უნარით. შეუძლია მათი სინთეზურად განსჯა. მაგისტრს გააჩნია სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებული პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრი სწავლობს როგორ უნდა შეაფასოს განხორციელებული სამუშაო, მისი ადეკვატურობა დასახულ მიზნებთან, განაზოგადოს მიღებული შედეგები და დაშვებული შეცდომები მომავალი დაგეგმვის პროცესში გამოიყენოს. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს აბსტრაქტული აზროვნების უნარს, რომელიც საშუალებას აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტაციის ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების უნარს. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგისტრი შეძლებს საჯარო ადმინისტრირების სფეროში სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების გაანალიზებას, მეცნიერულად დასაბუთებული პოზიციის გამოყოფასა და კომპეტენტური დასკვნის გაკეთებას.

**კომუნიკაციის უნარი:**

მაგისტრი აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან წერილობითი და ზეპირი ფორმით აყალიბებს საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტებს. შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ათვისება და მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება. პროგრამის სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას.

მაგისტრი ითვისებს მშობლიურ ენაზე აკადემიური ნაშრომების შექმნის, კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას. მაგისტრს გააჩნია განსხვავებული აზრის გაგებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის სფეროში წამოჭრილი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის

დასაბუთების უნარი. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს მისთვის უცხო გარემოში სწორი კომუნიკაციის, დროული ადაპტაციისა და ადეკვატური რეაგირების მეთოდებს. საჭიროების შემთხვევაში, მაგისტრს გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის ჩართულობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების დროს თანამონაწილეობის მაღალი ხარიხსის უზრუნველყოფის, მოსახლეობასთან მუშაობის უნარი. პროგრამის სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას. სწავლისას მიღებული გამოცდილება მაგისტრს აძლევს შესაძლებლობას დასმული საკითხი არა მარტო საჯარო მოხელეთა შორის, არამედ ინტერდისციპლინურ გუნდშიც განიხილოს. მაგისტრი ფლობს კრიტიკული შენიშვნების ჩამოყალიბებისა და განსახილველი საკითხების გარშემო დებატებში ჩაბმის უნარს. მას შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს არსებული პოზიცია, შეიმუშაოს განსხვავებული შეხედულება და დაიცვას იგი.

**სწავლის უნარი:**

მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და დაგეგმვის მაღალ დონეს. სწავლის

პროცესის დროს გამოყენებული მეთოდიკა უვითარებს სტუდენტს სისტემური ანალიზის უნარს, აჩვევს რეგულარულ მუშაობას როგორც სახელმძღვანელოებთან (ქართულ და უცხოურ ენებზე), ასევე პროფესორ-მასწავლებლებთან და ჯგუფთან. მაგისტრს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას. აქვს საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიახლეების და უახლესი მეცნიერული მიღწევების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა საჯარო ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით. საჯარო მმართველობის მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე და დაკავდეს აკადემიური საქმიანობით.

**ღირებულებები:**

მაგისტრი ივითარებს ღირებულებებს, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ლიბერალურ პრინციპებს; საკუთარი ქვეყნის ინტერესებსა და ასევე სხვა ერებისა და რელიგიური ჯგუფების მიმართ პატივისცემას; საკუთარი პოზიციისადმი პრინციპულ მიდგომასთან ერთად სხვისი აზრისადმი პატივისცემასა და საღ დამოკიდებულებას. მაგისტრი მკაფიოდ იყალიბებს საკუთარ ღირებულებათა სისტემას და აქვს უნარი შეაფასოს და ადეკვატურად აღიქვას სხვათა ღირებულებათა სისტემა, გაიზიაროს და პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებში დაიცვას ორივე მხარის უფლებები. მაგისტრს გააჩნია განსხვავებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულებისა და პატივისცემის უნარი, აქვს სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი. მაგისტრი იცნობს საჯარო სამსახურის ეთიკას, აქვს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და აღჭურვილია

სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით. მაგისტრი ითვისებს პროფესიულ სიტუაციებში ეთიკური გადაწყვეტილების მიღების, ეთიკური დილემის დროს ობიექტური მსჯელობისა და ანალიზის უნარს. მაგისტრი სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმოანობებში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. საქმიანობისას იგი აცნობიერებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების თავისებურებებს და გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს. სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, მოქმედებს კეთილსინდისიერად და ორიენტირებულია წარმოდგენილ პირთა ინტერესების დაცვაზე; საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საჯარო მმართველობის მაგისტრი/ Master of Public Administration |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებიც:<br><br>• წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას;<br>• წარმატებით გაივლიან შიდასაუნივერისტეტო გასაუბრებას/გამოცდას სპეციალობაში;<br>• წარმატებით ჩააბარებენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ინგლისურ ენაში (B 2 დონე). | **დასაქმების სფერო:**<br><br>საჯარო პოლიტიკის მაგისტრატურის კურსდამთავრებულები შეძლებენ წარმატებით იმუშაონ საჯარო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრობო და კერძო სექტორში. |

**პროგრამის მიზანი:**

საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი საჯარო მმართველობის სპეციალისტების ჩამოყალიბება.

ასევე პროგრამის მიზანია, მსურველებს მისცეს საშუალება სიღმისეულად შეისწავლონ საჯარო პოლიტიკის მიმართულებები და ძირითადი პრინციპები, საფუძვლიანად შეისწავლონ სახელმწიფო მმართველობის ძირითადი თეორიები და მოახდინონ მათი ანალიზი, დაეუფლონ კვლევის თანამედროვე სტანდარტებს, გაეცნონ  საჯარო პოლიტიკის სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს და გაიზიარონ დასავლეთის წარმატებული ქვეყნების საერთაშორისო გამოცდილება, რაც აუცილებელია საჯარო სექტორში დასაქმებისა და კარიერული წინსვლისათვის.

სამაგისტრო პროგრამა საჯარო პოლიტიკაში ისეა აგებული, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი საფუძველი მისცეს მომავალ მაგისტრს საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის ინტერდისციპლინარულ ხასიათზე, მის კავშირზე სხვა სოციალურ მეცნიერებებთან, რაც მიიღწევა ეკონომიკური, იურიდიული და მმართველობითი მიდგომების კომბინირებით, ლიდერობისა და კომუნიკაციების ტრანსფერული უნარების გადაცემით და საკონცენტრაციო არჩევითი კურსების შეთავაზებით საჯარო პოლიტიკის ოთხ სფეროში (ჯანდაცვის პოლიტიკა, კულტურის პოლიტიკა, გარემოს დაცვის პოლიტიკა და ეკონომიკური პოლიტიკება). საჯარო მმართველობის ხარისხის მინიჭების საფუძველია პროგრამით განსაზღვრული საგნების წარმატებით გავლა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

## სწავლის შედეგები:

### ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრი სიღმისეულად ერკვევა ქართულ და საერთაშორისო სახელმწიფო მმართველობის სისტემებში, ზედმიწევნით იცნობს საჯარო პოლიტიკისმიმართულებებს, თეორიებს, არსებულ პრობლემებს და შეუძლია თავისუფლად ისაუბროს ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე, აქვს უნარი შეაფასოს დაანალიზი გაუკეთოს არსებულ სისტემას მთლიანობაში და შეუმუშაოს პრობლემათა გადაჭრის გზები. მაგისტრი იცნობს საჯარო სექტორის ეკონომიკურპროცესებს, შესწავლილი აქვს სახელმწიფოს როლი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში. მაგისტრი სიღრმისეულად ერკვევა საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკაში, კარგად იცნობს გადასახადებისა და მოსაკრებლების გავლენას ბიუჯეტის შევსების პროცესზე, აფასებს საფინანსო პოლიტიკას საერთაშორისო გამოცდილებასთან მიმართებაში. მაგისტრს შესწავლილი და გაცნობიერებული აქვს კულტურის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა ან ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები და თავისებურებები, იცნობს დარგში არსებულ პრობლემებს და შესაბამის კანონმდებლობას და ფლობს ინფორმაციას წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების შესახებ. მაგისტრი ფლობს საფუძვლიან ცოდნას კვლევის ძირითად მეთოდებში და სიღმისეულად ფლობს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებსა და ტექნიკებს, მაგისტრი საფუძვლიანად ერკვევა ადმინისტრაციულ და კონსტიტუციურ სამართალში, იცნობს ძირითად საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირებისთვის აუცილებელ საკანონმდებლო ბაზისს, მათ შორის, ერკვევა საარჩევნო კოდექსში, იცნობს საჯარო მმართველობის სფეროში მოქმედ ეთიკის ნორმებს. ამავე დროს, მაგისტრს აქვს სრულყოფილი ცოდნა იმ თეორიებისა და საუკეთესო მაგალითების შესახებ, რომელიც პოლიტიკის ადვოკატირებისა და საჯარო პოლიტიკაში საზოგადოებრივი ჩართულობისთვის არის საჭირო.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრს აქვს მის პრაქტიკაში გამოყენებისა და დანერგვის უნარი. აქვს ახალი იდეებისგენერირების უნარი. მაგისტრს აქვს უნარი დროის/რესურსის სიმცირის პირობებშიც ადეკვატური და ეფექტური გზები საზოგადოებრივი პრობლემატური სიტუაციის გადასაჭრელად. შეუძლია უცხო გარემოში ადაპტირება და შესაბამისი ქმედებების განხოციელება. სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კვლევით კომპონენტს, რაც მაგისტრს აძლევს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ხარისხიანი ანალიტიკური დოკუემნტებისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. სასწავლო პროცესის განმავლობაში განმავლობაში მაგისტრი ეფექტურად იყენებს საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო ადმინისტრირების სფეროში მიღებულ თეორიულ ცოდნას და აქვს უნარი ეს ცოდნა გამოიყენოს მმართველობითი პროცესის განმავლობაში. მაგისტრებს შეუძლიათ არჩეული მოდულების (ეკონომიკური, კულტურის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის) ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე კომპლექსურად გამოიყენონ პოლიტიკურეკონომიკური და სოციალური თეორიები სხვადასხვა პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების დროს. მაგისტრი სრულყოფილად გეგმავს და ახორციელებს კვლევით სამუშაოებს, შეუძლია საჭირო მასალის მოძიება, შეფასება და ანალიზი, საკუთარი მოსაზრებების ლოგიკურად ჩამოყალიბება. მას ასევე აქვს უნარი ისეთი გამოყენებითი უნარების მეშვეობით, როგორებიცაა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება, მეორად მონაცემებთან მუშაობა და მათი ანალიზი, პრეზენტაციის მომზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კვლევითი სამუშაოს ჩატარება, ასევე თეორიული და პრაქტიკული დასკვნების გამოტანის უნარი გამოყენებით სტატისტიკის მეშვეობით. მაგისტრს შეუძლია მნიშვენლოვანი პროექტის დაგეგმვა და შემუშავება, ასევე აქვს უნარი განსაზღვროს პროექტის მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები, საჯარო პოლიტიკაში ადვოკატირების განხორციელებისა და შესაბამისი სტრატეგიების განსაზღვრის უნარი

დასკვნის უნარი: მაგისტრი ფლობს პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი ჩამოყალიბების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური გზის შერჩევა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება. მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან (თუნდაც არასრული) ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება. მაგიტრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და მონაცემების ანალიზის უნარით და მის საფუძველზე შეუძლია სინთეზირებული დასკვნების წარმოდგენა. მაგისტრს გააჩნია საჯარო პოლიტიკის სფეროში არსებული საზოგადოებრივი პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი. მაგისტრი კრიტიკულად აფასებს ამა თუ იმ პოზიციას, შეიმუშავებს საკუთარი განსხვავებული შეხედულება და ლოგიკურად დაიცვას და დაასაბუთოს ის. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრი კრიტიკულად აფასებს განხორციელებულ სამუშაოს, მის შესაბამისობას დასახულ მიზნებთან მიმართებაში, ანზოგადებს მიღებულ შედეგებს. მაგისტრი ითვალისწინებს დაშვებულ შეცდომებს და ახდენს იდენტიფიცირებას იმ რისკფაქტორების, რაც მნიშვნელოვანია მომავალი საქმინობის დაგეგმვის პროცესში. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრს აქვსს აბსტრაქტული აზროვნების უნარი, რომელიც მას საშუალებას აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტირებული ანალიზის, მსჯელობის აგებისა დადამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების უნარს. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგისტრს საჯარო პოლიტიკის სფეროში სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების გაანალიზების, მეცნიერულად დასაბუთებული პოზიციის წარდგენისა და კომპეტენტური დასკვნის გაკეთების უნარი. გააჩნია კომუნიკაციის უნარი: მაგისტრს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციის მაღალი უნარები გააჩნია და საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტების ფორმულირებისა და შეთავაზების ეფექტური უნარით გამოირჩევა. მაგისტრს შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება ეფექტური კომუნიკაციისთვის როგორც საკუთარ, ისე ინგლისურ ენაზე. მას აქვს საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე შექმნილი ანალიტიკური დოკუმენტების ეფექტური წარდგენა და შეთავაზება და შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიების განსაზღვრა და

განხორციელება. მაგისტრი ითვისებს აკადემიური ნაშრომების მომზადების, კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას. მაგისტრს გააჩნია განსხვავებული აზრის გაგებისა და სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში

წამოჭრილი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს მისთვის უცხო გარემოში სწორი კომუნიკაციის, დროული ადაპტაციისა და ადეკვატური რეაგირების მეთოდებს. იგი ფლობს კრიტიკული შენიშვნების მომზადებისა და დებატებში ჩაბმის უნარს, აქვს კულტურა მოუსმინოს სხვის აზრს და დაასაბუთოს თავისი განსხვავებული პოზიცია. კვლევითი სტატიების, რეფერატების, ასევე კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებების დროს მაგისტრი ავლენს ცოდნის, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარს. საჭიროების შემთხვევაში, მაგისტრს გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფისა და მოსახლეობასთან მუშაობის უნარი. პროგრამის სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას. სწავლისას მიღებული გამოცდილება მაგისტრს აძლევს შესაძლებლობას დასმული საკითხი არა მარტო საჯარო მოხელეთა შორის, არამედ ინტერდისციპლინურ გუნდშიც განიხილოს.

**სწავლის უნარი:**

მაგისტრი დამოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს, და ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს. მას ინგლისურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავებისა და შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობები გააჩნია. მაგისტრს აქვს დამოუკიდებლად სწავლისა და პროფესიული ზრდისკენ სწრაფვის უნარი, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას. აქვს საჯარო პოლიტიკისა სხვადასხვა სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების, სოციალურპოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური სიახლეების და უახლესი მეცნიერული მიღწევების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა, მოიძიოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია საჯარო ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე. საჯარო მმართველობის მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე და დაკავდეს აკადემიური საქმიანობით. ღირებულებები: მაგისტრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი ღირებულებათა სისტემა. ასევე აქვს უნარი შეაფასოს და ადეკვატურად აღიქვას სხვათა ღირებულებათა სისტემა, გაიზიაროს და პროფესიული საქმინობის ეთიკის ფარგლებში დაიცვას ორივე მხარის უფლებები. მაგისტრს გააჩნია განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი, აქვს სოციალური პასუხიმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი. მაგისტრი ერკვევა და იზიარებს საჯარო სამსახურის ეთიკას, აქვს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და აღჭურვილია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით. მაგისტრი ითვისებს პროფესიულ სიტუაციებში ეთიკური გადაწყვეტილების მიღების, კოლეგიალობის და ეთიკური დილემის დროს ობიექტური მსჯელობისა და ანალიზის უნარს. მაგისტრი სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობებში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. აცნობიერებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების თავისებურებებს და გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს. სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br><br>გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** გარემოს დაცვის მაგისტრი /Master of Environmental Protection |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებიც:<br><br>• წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას<br>• წარმატებით გაივლიან შიდასაუნივერისტეტო გამოცდას/გასაუბრებას სპეციალობაში<br>• წარმატებით ჩააბარებენ უნივერისტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ინგლსიურ ენაში (B2 დონე) | **დასაქმების სფერო:**<br><br>გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს მიღებული ცოდნის საფუძველზე შესაძლებლობა ექნებათ პროფესიულად განვითარდნენ და წარმატებული კარიერა განახორციელონ როგორც საჯარო სექტორში, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და კერძო სექტორში, რასაც უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა. |

## პროგრამის მიზანი:

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გარემოსდაცვითი მმართველობისა და პოლიტიკის სფეროში, რომლებიც წარმატებით იმუშავებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო, თუ საზოგადოებრივ სექტორში სხვადასხვა კვლევით, აკადემიურ თუ მენეჯერულ თანამდებობებზე.სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში ისინი შეძლებენ გარემოსდაცვითი მმართველობის საკითხებზე მუშაობას, ეფექტური გადაწყვეტის მექანიზმების დაგეგმვას, განხორციელებას და შეფასებას.

## სწავლის შედეგები:

### ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრს გააჩნია სპეციალიზაციის სფეროს სიღრმისეული ცოდნა, იგი ერკვევა გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებაში, იცნობს გარემოსდაცვითი მმართველობის და პოლიტიკის მიმართულებებს, თეორიებს, არსებულ პრობლემებს და შეუძლია თავისუფლად ისაუბროს ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე.მაგისტრს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის მართვის/ორგანიზაციული მიმართულებები, საფუძვლიანად იცნობს მართვის პრინციპებს, ფლობს გარემოსდაცვით მენეჯმენტსა და პოლიტიკაში მიღებულ კვლევის მეთოდოლოგიას, იდენტიფიცირებას ახდენს იმ გამოწვევების რაც დღეს გარემოსდაცვით სფეროში არსებობს, შესაძლებლობა აქვს მიიღოს დარგობრივი ცოდნა ნარჩენების, წყლის რესურსების, ტყის რესურსების მართვაში, ატმოსფერული ჰაერის დაცვაში, იცის თუ როგორ დაგეგმოს კვლევა, კარგად ფლობს ინგლისურ ენას და შეუძლია აკადემიური/კვლევითი ნაშრომის (სტატიის) მომზადება, ზედმიწევნით იცნობს გარემოსდაცვითი მმართველობისთვის პოლიტიკის განსაზღვისთვის საჭირო თეორიებს, გარმოსდაცვითი ეკონომიკის პრინციპებს, იცნობს მდგრადი ენერგეტიკის პოლიტიკას, სიღრმისეულად ფლობს ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტებს, გზშ, RIA, GIS.

### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე:

- მაგისტრი შეძლებს მის პრაქტიკაში გამოყენებასა და დანერგვას. სასწავლო პროცესში რეალური ქეისების განხილვა, პრაქტიკული სამუშაოების და ღონისძიებების განხორციელება, მაგისტრს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს უძლიერებს.

- მაგისტრს გააჩნია ახალი იდეების გენერირების უნარი და შესწევს დროის/რესურსის სიმცირის პირობებშიც ადეკვატური და ეფექტური გზების დანახვის უნარი პრობლემატური სიტუაციის გადასაჭრელად.
- მაგისტრი ეფექტურად იყენებს მოცემულ სფეროში მიღებულ ცოდნას და აქვს უნარი ეს ცოდნა სრულად გამოიყენოს სამუშაო ადგილას.
- მაგისტრი ითვისებს ისეთ პრაქტიკულ უნარებს, როგორიცაა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის, მეორად მონაცემებთან მუშაობისა და მათი ანალიზის, პრეზენტაციის მომზადების, საჯარო გამოსვლები, გარემოდაცვითი მენეჯმენტისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. კვლევითი და აკადემიური პროექტების, სადიპლომო ნაშრომების მომზადების დროს მაგისტრი პრაქტიკულად ითავისებს კვლევის ეფექტურად და სიღრმისეულად წარმართვის უნარს.
- მაგისტრი სიღმისეულად ერკვევა გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებაში, შესაბამის საკანონმდებლო ასპექტებში და შეუძლია თავისუფლად ისაუბროს ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე.
- მაგისტრს აქვს გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სფეროში წამოჭრილი პრობლემების ადეკვატური გადაწყვეტისათვის შესაბამისი სტრატეგიებისა და პროექტების შემუშავებისა და განხორციელების უნარი. შეუძლია დაგეგმოს გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების პროცესი და შეიმუშავოს პროცესის შესაბამისი მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები. სახელმწიფო - ცენტრალურ თუ ადგილობრივ, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებში სასწავლო პრაქტიკის გავლით (სურვილის შემთხვევაში), მაგისტრი ითვისებს რეალურ ორგანიზაციულ კონტექსტში ეფექტური მუშაობის უნარს.

**დასკვნის უნარი:**

- მაგისტრი ფლობს პრობლემის ამოცნობისა და მისი ჩამოყალიბების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური გზის შერჩევა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება.
- მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება. მაგისტრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და მონაცემების ანალიზის უნარით. შეუძლია მათი სინთეზურად განსჯა.
- მაგისტრს გააჩნია გარემოს დაცვის მენეჯმენტის და პოლიტიკის სფეროში არსებული პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის და შესაბამის დასკვანში გადატანის უნარი. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრმა იცის, თუ როგორ უნდა შეაფასოს განხორციელებული სამუშაო, მისი ადეკვატურობა დასახულ მიზნებთან, განაზოგადოს მიღებული შედეგები და დაშვებული შეცდომები და მიღებული გამოცდილება მომავალი დაგეგმვის პროცესში გამოიყენოს.
- სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს აბსტრაქტული აზროვნების უნარს, რომელიც საშუალებას აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტაციის ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების უნარს.
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგისტრს შეუძლია გარემოსდაცვითი მენეჯმეტისა პოლიტიკის სფეროში სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების გაანალიზება, მეცნიერულად დასაბუთებული პოზიციის გამოყოფა და კომპეტენტური დასკვნის გამოტანა. აქვს გარემოსდაცვით სფეროში პრობლემების გადაწყვეტის ანალიტიკური ჩარჩოს შესახებ ინფორმაცია, შეუძლია ანალიზი, პროცესების დაგეგმვა და განხორციელება, სინთეზურად სჯის და კრიტიკულად აანალიზებს მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს და იყენებს მას გარემოსდაცვითი მენეჯმენტის პროცესში.

**კომუნიკაციის უნარი:**

მაგისტრს ეფექტურად შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და ინგლისურ ენაზე გადასცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები. შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ათვისება, ინგლისურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება. პროგრამის სასწავლო ფორმატი, ისევე როგორც ტრანსფერული უნარების გადაცემაზე ორიენტირებული კურსები, მაგისტრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის პროგრამის სტუდენტი ფლობს აკადემიური ნაშრომების შექმნის, კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას; სტუდენტი იყენებს ინგლისურეონვან ლიტერატურას ძირითადი საგნების შესწავლისას. მაგისტრს გააჩნია როგორც განსხვავებული აზრის გაგების, ისე საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს მისთვის უცხო გარემოში სწორი კომუნიკაციის, დროული ადაპტაციისა და ადეკვატური რეაგირების მეთოდებს. საჭიროების შემთხვევებში, მაგისტრს გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ორგანიზაციულ პროცესებში ინდივიდებისა და ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფისა და მოსახლეობასთან მუშაობის უნარი. პროგრამის სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს ლიდერის თვისებებს, ასევე გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას. გარემოსდაცვით პროცესებზე ეფექტური გადაწყვეტილების და ანალიზის უნარს.

**სწავლის უნარი:**

- მაგისტრი დმაოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურებების სრულად გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს.
- მაგისტრს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას გარემოსდაცვით სფეროში. აქვს გარემოსდაცვითი მენეჯმეტის და პოლიტიკის სფეროში უახლესი მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით. იყენებს მეორად ლიტერატურას და თვისებრივი და რაოდენობრივ მეთოდებს ახალი ცოდნის შესაქმნელად, იძიებს ადეკვატურ სასწავლო/ინფორმაციულ რესურსებს და სწორად იყენებს მას.
- მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად წარმართოს აკადემიური, კვლევითი ან პრაქტიკული საქმიანობა და/ან სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე

**ღირებულებები:**

- მაგისტრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული გარემოსდაცვით სფეროში მოქმედი/აღიარებულ ღირებულებათა სისტემა, მათ შორის მდგრადი განვითარების პრინციპები, გარემოსდაცვითი ეთიკა, ბიომრავალფეროვნების დაცვა;
- მაგისტრს ასევე აქვს უნარი შეაფასოს და ადეკვატურად აღიქვას სხვათა ღირებულებათა სისტემა, აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ამ ღირებულებებისადმი და პასუხისმგებლობით იცავს პროფესიული საქმიანობის ეთიკას. მას გააჩნია განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების

დაფასებისა და პატივისცემის უნარი, აქვს სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი. სრულად გაცნობიერებული აქვს თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული საკითხების მნიშვნელობა.

- მაგისტრი იზიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. აქვს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და აღჭურვილია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით, პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, იცავს სამეცნიერო კვლევით ეთიკას, იცავს მოქალაქეებთან ურთიერთობის მაღალ სტანდარტს, მაგისტრს აქვს კრიტიკის კორექტულად გამოთქმისა და მიღების უნარი.

**<u>პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.</u>**

# საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საჯარო მმართველობის მაგისტრი/ Master of Public Administration |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებიც:<br><br>• წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას<br>• წარმატებით გაივლიან შიდასაუნივერისტეტო გამოცდას/ გასაუბრებას სპეციალობაში<br>• წარმატებით ჩააბარებენ უნივერისტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ინგლსიურ ენაში (B2 დონე) | **დასაქმების სფერო:**<br><br>საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში და ასევე კერძო სექტორშიც. პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას, აწარმოონ კვლევები ან დასაქმდნენ საჯარო სამსახურში სხვადასხვა მიმართულებით. |

## პროგრამის მიზანი:

საჯარო მმართველობის პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიული საჯარო მოხელე, რომელსაც შესწევს უნარი, განვითარებადი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავი გაართვას საჯარო მართვასთან დაკავშირებულ კომპლექსურ გამოწვევებს. პროგრამის კურსდამთავრებული იყენებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასა და ემპირიულ ცოდნას. მას გაცნობიერებული აქვს საჯარო პროფესიული სამსახურის პრინციპები: კანონიერება, ერთგულება, კანონის წინაშე თანასწორობა და შეუძლია საჯარო მმართველობა განახორციელოს ხარჯთეფექტურობის, ანგარიშვალდებულების, მოქალაქეთა წინაშე პასუხისმგებლობის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.

## სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

**ცოდნა და გაცნობიერება**

სწავლის დასრულების შემდეგ, მაგისტრი იცნობს საჯარო მმართველობის თეორიებს და ანსხვავებს მათ თავისებურებებს; განმარტავს საჯარო პოლიტიკის დიზაინის და იმპლემენტაციის პროცედურას, წესსა და თავისებურებებს; იცნობს კვლევის რაოდენობრივ დათვისებრივ მეთოდებს და შესაბამის ტექნიკებს, ერკვევა მათი გამოყენების სპეციფიკაში; ხსნის მიკრო და მაკროეკონომიკურ პროცესებს საჯარო პოლიტიკის/ადმინისტრირების ანალიზის და განსაზღვრის მიზნით;ითვალისწინებს მდგრადი განვითარების გამოწვევებს საჯარო მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების კონტექსტში; განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს და ადგენს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების გამოწვევებს; აღწერს საჯარო ფინანსების ფორმირების წესს და სახელმწიფო ბიუჯეტირების მექანიზმებს.

**უნარი**

პროგრამის დასრულების შემდეგ, მაგისტრი:

დამოუკიდებლად განსაზღვრავს და გეგმავს დამოუკიდებელი სწავლის პროცესს; იყენებს მეორად ლიტერატურას და თვისებრივი და რაოდენობრივ მეთოდებს ახალი ცოდნის შესაქმნელად; იყენებს საერთაშორისო გამოცდილებას საჯარო მმართველობითი გამოწვევების დაძლევის მიზნით; იძიებს ადეკვატურ სასწავლო/ინფორმაციულ რესურსებს და სწორად იყენებს მას.

დამოუკიდებლად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას ქართულ და ინგლისურ ენებზე; ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს როგორც წერილობით, ისე, ვერბალურად; აქვს ეფექტური კომუნიკაცია მოსახლეობასთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს საკუთარი მოსაზრების გადმოცემის მიზნით; გადმოსცემს საკუთარ მოსაზრებას როგორც წერილობით ასევე ვერბალურად მიზნობრივი აუდიტორიის გათვალისწინებით.

ასკვნის საჯარო მმართველობითი სისტემის განვითარების საუკეთესო მოდელს; განსაზღვრავს საუკეთესო ალტერნატივას ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთებითა და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით; ასაბუთებს შეჯამებულ მოსაზრებას ემპირიული კვლევების საფუძველზე ; სინთეზურად სჯის და კრიტიკულად აანალიზებს მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს და იყენებს მას საჯარო ადმინისტრირების პროცესში.

ახდენს საჯარო მმართველობის გამოწვევების იდენტიფიცირებას და იყენებს პრობლემის გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდებს; იყენებს კანონმდებლობას საჯარო მმართველობით პროცესში; ანგარიშობს ფინანსურ და ეკონომიკურ დანახარჯებს სახელმწიფო პოლიტიკის და საჯარო ადმინისტრირების განხორციელების დროს; ადგენს პოლიტიკის დოკუმენტს და წარადგენს მას; იყენებს კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და საჯარო ადმინისტრირების განხორციელების მიზნით; იყენებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას ეროვნული საჯარო მმართველობითი გამოწვევების მოგვარების მიზნით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

პროგრამის დასრულების შემდეგ, მაგისტრი იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტს;
პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით;
მოქმედებს სოციალური პასუხისგებლობით და სამოქალაქო თვითშეგნებით;
ითვალისწინებს საზოგადოებრივი ინტერესებს და ღირებულებებს საჯარო მმართველობით პროცესებში; იცავს სამეცნიერო კვლევით ეთიკას;
იცავს მოქალაქეებთან ურთიერთობის მაღალ სტანდარტს.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროგრამები

## გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფსიქოლოგიის მაგისტრი/Master of Psychology |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს ფსიქოლოგიაში. სხვა სპეციალობის შემთხვევაში, აპლიკანტს მოეთხოვება ჯიპას - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მოსამზადებელი, სამთვიანი კურსების (“ფსიქოლოგიის საფუძვლები”) წარმატებით გავლა<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებიც:<br><br>• წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას<br>• წარმატებით გაივლიან შიდასაუნივერისტეტო გამოცდას/გასაუბრებას სპეციალობაში<br>• წარმატებით ჩააბარებენ უნივერისტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ინგლსიურ ენაში (B2 დონე). | **დასაქმების სფერო:**<br><br>გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს მიღებული ცოდნის საფუძველზე შესაძლებლობა ექნებათ პროფესიულად განვითარდნენ და წარმატებული კარიერა განახორციელონ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში; საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში; კვლევით, საკონსულტაციო და/ან სხვა პრაქტიკული მიმართულებით, ყველგან - სადაც არის მოთხოვნა პოლიტიკური ფსიქოლოგიის ან მართვის/ორგანიზაციის ფსიქოლოგიის კომპეტენციებზე, რასაც უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა. |

## პროგრამის მიზანი:

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ღრმა და სისტემური ცოდნა პოლიტიკური და საორგანიზაციო მართვის ფსიქოლოგიაში;
- პოლიტიკური და საორგანიზაციო ქცევის თანამედროვე კონცეფციების, ძირითადი თეორიებისა და მიდგომების, ტენდენციების, თეორიული, მეთოდოლოგიური და კვლევითი პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა;
- ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა.
- გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:
- პოლიტიკური და მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ანალიტიკური ხედვა და კვლევის, ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისა და ინტერვენციის პრაქტიკული უნარები;
- ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარები.

## სწავლის შედეგები:

### ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრს გააჩნია სპეციალიზაციის სფეროს ღრმა, სისტემური და და ინტეგრირებული ცოდნა, იგი ერკვევა გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგებში. ზედმიწევნით იცნობს კონცენტრაციის - პოლიტიკური ფსიქოლოგიის/მართვის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებების - კონცეფციებს, თეორიებს, არსებულ პრობლემებს და შეუძლია თავისუფლად იმუშაოს ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე. მაგისტრს ღრმად და სისტემურად აქვს შესწავლილი პოლიტიკური ფსიქოლოგიის/მართვის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებები, ღრმად და სისტემურად იცნობს პოლიტიკური/ორგანიზაციული მართვის პრინციპებს, სიღრმისეულად ფლობს კვლევის მეთოდოლოგიას.

### უნარი:

მაგისტრს გააჩნია გამოყენებითი ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, მაგისტრს შეუძლია განხორციელებული სამუშაოს, დასახულ მიზნებთან მისი ადეკვატურობის შეფასება, მიღებული შედეგებისა და დაშვებული შეცდომების განზოგადება. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს აბსტრაქტული, ანალიტიკური აზროვნების უნარს, რომელიც საშუალებას აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტაციის, ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების უნარს.

პროგრამის სპეციფიკის თვალსაზრისით, მაგისტრი აანალიზებს შესაბამისი სპეციალიზაციის სფეროში არსებულ პრაქტიკულ და სამეცნიერო კვლევით ნაშრომებს, გამოაქვს კომპეტენტური და აკადემიურად დასაბუთებული დასკვნა.

მაგისტრი იყენებს და პრაქტიკაში ნერგავს სწავლისას მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. სასწავლო პროცესში რეალური ქეისების განხილვა და პრაქტიკული სავარჯიშოები მაგისტრს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს უძლიერებს.

მაგისტრი ითვისებს ისეთ პრაქტიკულ უნარებს, როგორიცაა ფსიქომეტრიის, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის, ფსიქოდიაგნოსტიკის, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების და მათი ანალიზის უნარებს; იყენებს სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს.

კვლევითი და აკადემიური პროექტების, სადიპლომო ნაშრომის მომზადების დროს მაგისტრი პრაქტიკულად იყენებს კვლევის ეფექტურად და სიღრმისეულად წარმართვის უნარს: დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს კვლევას, ამუშავებს მონაცემებს, ახდენს ინტერპრეტაციას და ანალიზს, გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.

მაგისტრი ადეკვატურად გადასცემს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტებს - წერილობითი და ზეპირი ფორმით; ფლობს აკადემიური ნაშრომების შექმნის, კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას. მას გააჩნია როგორც განსხვავებული აზრის გაგების, ისე საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი.

საჭიროების შემთხვევებში, მაგისტრს გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ორგანიზაციულ პროცესებში ინდივიდებისა და ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფისა და მათთან მუშაობის უნარი. სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს ლიდერის თვისებებს, ასევე გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

მაგისტრი პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა; იცნობს და აფასებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ამ ღირებულებებისადმი. აქვს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი; სრულად გაცნობიერებული აქვს თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული საკითხების მნიშვნელობა.

მაგისტრი სრულად აცნობიერებს და ზედმიწევნით იცავს პროფესიული, ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს - კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის წარმოდგენისას; ასევე, ფსიქოლოგიური ინტერვენციისა და სოციალური ცვლილებების პროცესში. აქვს კრიტიკის კორექტულად გამოთქმისა და მიღების უნარი.

მაგისტრი დამოუკიდებლად ისწრაფვის პროფესიული ზრდისკენ, რაც გულისხმობს როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას. მაგისტრი დამოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს, ავლენს მისი თავისებურებების სრულად გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს; სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად იფართოებს ცოდნას; აქვს გამოყენებითი ფსიქოლოგიის სფეროში უახლესი სამეცნიერო მიღწევების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ეკონომიკის ბაკალავრი |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.<br><br>დაინტერესებული პირები საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთინი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები:<br><br>• ქართული ენა და ლიტერატურა;<br>• უცხო ენა (მხოლოდ ინგლისური)<br>• მათემატიკა/ისტორია | **დასაქმების სფერო:**<br><br>ეკონომისტის საჭიროება ყველა ტიპის დაწესებულებაში არსებობს: სამინისტროებში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, სამრეწველო, სავაჭრო, ლოჯისტიკურ, ტურისტულ და სხვა პროფილის კომპანიებში, კვლევით და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში. |

## პროგრამის მიზანი:

1. ფართო თეორიული ცოდნა ფუნდამენტური ეკონომიკური თეორიებისა და ძირითადი ეკონომიკური დოქტრინების შესახებ;
2. ფუნქციონალური ეკონომიკური დისციპლინების (მიკრო და მაკროეკონომიკის) და დარგობრივი ეკონომიკის თავისებურებათა საფუძვლიანი ცოდნა.

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

1. ეკონომიკის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი: ეკონომიკური თემატიკის პრობლემების შეფასების, ანალიზის და გადაწყვეტის გზების ძიების უნარი;
2. ეკონომიკის თეორიებსა და პრინციპებზე დაყრდნობით, ეკონომიკური თემატიკის საკითხების კრიტიკული გააზრებისა და და ანალიტიკური აზროვნების უნარი; ასევე, სპეციალობით საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა უნარები;
3. ეკონომისტის პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

## სწავლის შედეგები:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა: ფლობს ეკონომიკურ თეორიებს, იცნობს ფუნდამენტურ ეკონომიკურ დისციპლინებსა და ეკონომიკურ დოქტრინებს. ბაკალავრი საფუძვლიანად იცნობს დარგობრივი ეკონომიკის საკითხებს და დარგთაშორის კავშირებს, ერკვევა მსოფლიო ეკონომიკისა და გლობალიზაციის პროცესის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებში, ანსხვავებს ეკონომიკური განვითარების ძირითად მოდელებსა და აღწერს სხვადასხვა ქვეყნებში მათი გამოყენების შედეგებს;

**უნარი:**

სწავლისას მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე, ბაკალავრი ამ ცოდნას პრაქტიკაში იყენებს. ბაკალავრი, კონსულტაციების გავლის შედეგად, რესურსის სიმცირის პირობებშიც კი, პოულობს ადეკვატურ და ქმედით გზებს პრობლემების მოსაგვარებლად; კურსდამთვრებულს შესწევს უნარი ეკონომიკის სფეროსათვის დამახასითებელი მეთოდოლოგიების გამოყენებით გადაჭრას პრობლემური საკითხები; ახორციელებს პრაქტიკული ხასიათის ეკონომიკურ პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ბაკალავრი გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტის სხვადასხვა კომპონენტებს. ბაკალავრი იძიებს საჭირო მასალას, აფასებს და აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას, ლოგიკურად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს; მოძიებული მასალის საფუძველზე, ერთი და იგივე ეკონომიკურ მოვლენას თუ კონცეფციას აანალიზებს სხვადასხვა კუთხით და გამოაქვს ლოგიკური დასკვნები. შეიმუშავებს საკუთარ განსხვავებულ შეხედულებას და

არგუმენტირებულად იცავს მას. განსაზღვრავს სხვადასხვა ეკონომიკური თეორიების დადებით და უარყოფით მხარეებს; დამაჯერებლად ავითარებს და ასაბუთებს თავის თვალსაზრისს; ადეკვატურად აღიქვამს და აანალიზებს ეკონომიკურ პროცესებს;

კურსდამთავრებული წერილობითი და ზეპირი ფორმით (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე) გადმოსცემს საკუთარ დასკვნებს და არგუმენტებს. ითვისებს ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს . კურსდამთავრებული ამზადებს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალურ წერილობითი ანგარიშს. გადასცემს ინფორმაციას როგორც სპეციალისტებს, ასევე არასპეციალისტებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. ბაკალავრი აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკის მიმართულების თემატიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

ბაკალავრი სწავლას დამოუკიდებლად წარმართავს; ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა და ზედმიწევნით იცავს ეკონომისტის პროფესიულ ეთიკას. მოქმედებს კოლეგიალურად და სრულად აცნობიერებს თავის თავზე აღებულ პასუხისმგებლობას; ბაკალავრს შეუძლია კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში ანალიტიკური და/ან განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება; ასევე, საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# პოლიტიკის მეცნიერებების საბაკლავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრი |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.<br><br>დაინტერესებული პირები საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთინი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები:<br><br>• ქართული ენა და ლიტერატურა;<br>• უცხო ენა (მხოლოდ ინგლისური)<br>• მათემატიკა/ისტორია | **დასაქმების სფერო:**<br><br>პოლიტიკის ცოდნა ნიშნავს ერკვეოდე ქვეყნის განვითარების საკითხებსა და სტრატეგიულ ინტერესებში. შესაბამისად, შენ შეგიძლია დასაქმდე, როგორც სახელმწიფო სამსახურში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში, პოლიტიკურ გაერთიანებებში, არასამთავრობო სექტორსა და კერძო კომპანიებში. |

## პროგრამის მიზანი:

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა, როგორც ზოგადად პოლიტიკურ მეცნიერებებში, ისე მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა მსოფლიო ფილოსოფიური და სამეცნიერო მემკვიდრეობის, პოლიტიკური აზროვნების ისტორიისა და პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა საჯარო პოლიტიკის, სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის, ლიბერალური ღირებულებებისა და ადამიანთა უფლებების ძირითადიპრინციპების შესახებ;
- ფართო ცოდნა ინდივიდის როლის, პასუხისმგებლობისა და საზოგადოებაში მისი უფლებების შესახებ.

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- პოლიტიკური მეცნიერებების სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- პროფესიული ეთიკისა და ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

## სწავლის შედეგები:

ბაკალავრი სიღრმისეულად ფლობს პოლიტიკური მეცნიერებების ცნებებს და მეთოდოლოგიას. ბაკალავრი ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას კონკრეტულ სფეროში არსებული თეორიებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ და აცნობიერებს ამ სფეროს კომპლექსურ საკითხებს.

ბაკალავრი საფუძვლიანად იცნობს მოცემულ სფეროს, რომელიც მოიცავს შესაბამისი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; ბაკალავრი იცნობს დარგის განვითარების ისტორიას კლასიკური ნაშრომების შესწავლის საფუძველზე, ერკვევა პოლიტიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა მიმართულებებში; ახასიათებს ამ მიმართულებებს და განსაზღვრავს რელევანტურ ამოცანებს; იცნობს პოლიტიკურ მეცნიერებათა ძირითად ცნებებს და თეორიულ მიდგომებს, პარადიგმებს, კონცეფციებს და მოდელებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას.

**უნარი:**

სწავლისას მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე, ბაკალავრი ამ ცოდნას პრაქტიკაში იყენებს. ბაკალავრი, კონსულტაციების გავლის შედეგად, რესურსის სიმცირის პირობებშიც კი, პოულობს ადეკვატურ და ეფექტურ გზებს პრობლემების მოსაგვარებლად; იყენებს სფეროსთვის დამახასიათებელ მეთოდს პრობლემების გადასაჭრელად; ახორციელებს პრაქტიკული ხასიათის პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესამისად ბაკალავრს აქვს პოლიტიკურ მეცნიერებებთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი. გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტის სხვადასხვა კომპონენტებს. იძიებს საჭირო მასალას, აფასებს და აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას, ლოგიკურად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს.

ფლობს არაკომპლექსური პრობლემის ამოცნობისა და მისი ფორმულირების უნარს, პოულობს პრობლების გადაწყვეტის გზას და ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას. მოძიებული მასალის საფუძველზე, ერთი და იგივე მოვლენას თუ კონცეფციას აანალიზებს სხვადასხვა კუთხით და გამოაქვს ლოგიკური დასკვნები. შეიმუშავებს საკუთარ განსხვავებულ შეხედულებას და ლოგიკურად იცავს მას. განსაზღვრავს სხვადასხვა პოლიტიკური თეორიების დადებით და უარყოფით მხარეებს; დამაჯერებლად ავითარებს და ასაბუთებს თავის თვალსაზრისს; ადეკვატურად აღიქვამს და აანალიზებს საზოგადოებრივ პროცესებს;

ბაკალავრი წერილობითი და ზეპირი ფორმით (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე) გადმოსცემს საკუთარ დასკვნებს და არგუმენტებს. ითვისებს ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს. გადასცემს ინფორმაციას როგორც სპეციალისტებს, ასევე არასპეციალისტებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. მეტყველებს და წერს გამართულად. ბაკალავრი აქტიურად მონაწილეობს არჩეული მიმართულების თემატიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

ბაკალავრი სწავლას მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად წარმართავს; ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. მრავალმხრივად და ადეკვატურად აფასებს სწავლის პროცესს, სწავლის შედეგებს და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; ბაკალავრი მუდმივად ანახლებს საკუთარ ცოდნას და ისწრაფვის პროფესიული ზრდისკენ.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

ბაკალავრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სისტემა. ადეკვატურად აფასებს სხვათა ღირებულებებს. აღიარებს და პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას და განსხვავებულ აზრს, აქვს სოციალური პასუხისმგებლობა და მოქმედებს სამოქალაქო თვითშეგნებით. იგი მოქმედებს კოლეგიალურად და სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას.

მას შეუძლია კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება.საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# სოციალური მეცნიერებების საბაკლავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი/Bachelor of Social Sciences |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრი | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.<br><br>დაინტერესებული პირები საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთინი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები:<br><br>• ქართული ენა და ლიტერატურა;<br>• უცხო ენა (მხოლოდ ინგლისური)<br>• მათემატიკა/ისტორია | **დასაქმების სფერო:**<br><br>საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში, პროგრამა იძლევა საფუძვლიან თეორიულ ცოდნას, ისევე როგორც პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყონ წარმატებული კარიერა. |

## პროგრამის მიზანი:

**სოციალურ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებს შესძინოს:**

- ფართო ზოგადი ცოდნა ფილოსოფიის საფუძვლების, ლიბერალური ღირებულებებისა და პრინციპების, მსოფლიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშებისა და მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- ფართო თეორიული ცოდნა სოციალურ მეცნიერებათა ძირითადი მიმართულებებისა და ტენდენციების შესახებ;
- მყარი თეორიული ცოდნა და სპეციალური მომზადება საჯარო მმართველობის/საერთაშორისო ურთიერთობების/ფსიქოლოგიის დარგებში.

**სოციალურ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავოს:**

- საჯარო მმართველობის/საერთაშორისო ურთიერთობების/ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- საჯარო მმართველობის/საერთაშორისო ურთიერთობების/ფსიქოლოგიის სფეროში მიმდინარე მოვლენების და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი; კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარები;
- საჯარო მმართველობის/საერთაშორისო ურთიერთობების/ფსიქოლოგიის სფეროში რელევანტური პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები; სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების, მოქალაქეობრივი ღირებულებების დაცვის უნარი.

## სწავლის შედეგები:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

ბაკალავრი ფლობს ფართო ზოგად განათლებას და მყარ თეორიულ ცოდნას სოციალური მეცნიერებების ძირითადი მიმართულებების შესახებ; იცნობს ძირითად ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ თეორიებს, მსოფლიო სულიერ და მხატვრულ მემკვიდრეობას; აღწერს, განმარტავს და ერთმანეთისგან განასხვავებს სოციალურ მეცნიერებათა ცნებებს. ამავდროულად, ის ავლენს მყარ როგორც ზოგად, ისე სპეციალიზებულ კომპეტენციას საჯარო მმართველობის

სფეროში: აღწერს, განსაზღვრავს და ახასიათებს დარგში არსებულ კონცეფტებს, თეორიებსა და ტენდენციებს; მიმოიხილავს საჯარო მმართველობის მიმართულებას, აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს და პრობლემატიკას, ახდენს მისი ძლიერი და სუსტი მხარეებს იდენტიფიცირებას.

**უნარი:**

ბაკალავრი პრაქტიკაში იყენებს სოციალური მეცნიერებების მიმართულებების სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში შეძენილ ცოდნას; ახდენს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული რთული და კომპლექსური საკითხების იდენტიფიცირებას და ეფექტურად გადაწყვეტს მათ.

წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს სადიპლომო ნაშრომის მომზადებისათვის აუცილებელ სხვადასხვა კომპონენტს: შესაბამისი [აკადემიური] ლიტერატურის მიმოხილვა, მონაცემების შეგროვება, განმარტება, განხილვა და ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; საკუთარი არგუმენტების ნათლად ჩამოყალიბება; სათანადო დასკვნების გამოტანა და ფორმულირება.

ბაკალავრი ეფექტურად ერთვება კომუნიკაციაში კოლეგებთან, აქტიურად მონაწილეობს საჯარო მმართველობის თემატიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში და, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, თანმიმდევრულად გადმოსცემს საკუთარ მოსაზრებებს, სფეროში არსებული თეორიული ნაშრომებისა თუ კვლევების შედეგებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

ბაკალავრს აქვს ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა. ადეკვატურად აღიქვამს და აფასებს საკუთარ და სხვათა ღირებულებებს, პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას და გენდერულ თანასწორობას, მოქმედებს სოციალური პასუხისმგებლობით და სამოქალაქო თვითშეგნებით.

ბაკალავრი სრულად იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს; კორექტულად გამოთქვამს და იღებს კრიტიკას. პატივს სცემს საავტორო უფლებებს და არ იყენებს პლაგიატს.

კომპლექსურ, არაპროგნოზირებად გარემოში ბაკალავრი წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და იღებს მასზე პასუხისმგებლობას; უწყვეტი პროფესიული განათლების კუთხით - ადგენს საჭიროებებს და წარმართავს შემდგომი სწავლის პროცესს.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სოციოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Sociology |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრი | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.<br><br>დაინტერესებული პირები საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთინი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები:<br><br>• ქართული ენა და ლიტერატურა;<br>• უცხო ენა (მხოლოდ ინგლისური)<br>• მათემატიკა/ისტორია | **დასაქმების სფერო:**<br><br>სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ პროფესიულ საქმიანობას ყველგან სადაც სჭირდებათ ანალიტიკოსები და მკვლევრები. საქართველოში სოციოლოგები ძირითადად დასაქმებულნი არიან კვლევით კომპანიებში, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებში, ასევე სახელმწიფო უწყებებში და კომერციული ორგანიზაციების კლვევით/ანალიტიკურ დეპარტამენტებში. |

## პროგრამის მიზანი:

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სოციოლოგიის მიმართულებით;
- ფართო თეორიული ცოდნა სოციოლოგიის საფუძვლების, ძირითადი თეორიებისა და მიმართულებების შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება სოციოლოგიის სხვადასხვა დარგში (ურბანული, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, შრომისა და ორგანიზაციული სოციოლოგიის).

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- სოციოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უნარები;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

## სწავლის შედეგები:

### ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრი სიღრმისეულად ფლობს ცოდნას სოციოლოგიის საფუძვლებისა და მისი დარგების შესახებ. გააჩნია სრულყოფილი ინფორმაცია არსებული თეორიებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ; აცნობიერებს პრობლემატიკას და კომპლექსურ საკითხებს სოციოლოგიის სფეროში; ახასიათებს სოციოლოგიის,

როგორც მეცნიერების, საგანსა და ამოცანებს; იცნობს სოციოლოგიის ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ მიგნებებს; იცის სოციოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია; იცნობს სოციოლოგიის კვლევის როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს (ინტერვიუს სხვადასხვა ფორმა,

დოკუმენტების ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა, ფოკუს-ჯგუფები, დაკვირვება და ეთნოგრაფიული კვლევა, დისკურს- ანალიზი, კონტენტ–ანალიზი,

ექსპერიმენტი და მასობრივი გამოკითხვა);

**უნარი:**

სწავლისას მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე ბაკალავრი იყენებს ამ ცოდნას პრაქტიკაში; კონსულტაციების გავლის შედეგად, რესურსის სიმცირის

პირობებშიც კი, ბაკალავრი ეძებს და პოულობს ადეკვატურ და ეფექტურ გზებს პრობლემის მოსაგვარებლად; პრაქტიკაში იყენებს პროგრამის ფარგლებში შეძენილ სოციოლოგიური კვლევისათვის აუცილებელ საბაზისო უნარ-ჩვევებს: გეგმავს და ახორციელებს კვლევას ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, შეარჩევს საკვლევი პრობლემის შესაბამის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, ამუშავებს მიღებულ შედეგებს შესაბამისი პროგრამებისა და საშუალებების გამოყენებით.

ბაკალავრი ფლობს არაკომპლექსური პრობლემის ამოცნობისა და მისი ფორმულირების უნარს, შეარჩევს პრობლემის გადაწყვეტის გზას და ასაბუთებს საკუთარ

გადაწყვეტილებას; სხვადასხვა წყაროდან იძიებს ინფორმაციას, ამუშავებს მას და გამოქვს ლოგიკური დასკვნები. მას შეუძლია წერილობით და ზეპირი ფორმით

გამოხატოს საკუთარ მოსაზრებები სოციოლოგიის სხვადასხვა თემასთან თუ პრობლემასთან დაკავშირებით; გადმოსცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები;

იგი ამყარებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას კოლეგებთან, გადასცემს ინფორმაციას როგორც სპეციალისტებს, ასევე არასპეციალისტებს ; კომუნიკაციის

პროცესში სწორად იყენებს სოციოლოგიურ ტერმინოლოგიას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

ბაკალავრი სწავლას დამოუკიდებლად წარმართავს; ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. ბაკალავრი მრავალმხრივად და ადეკვატურად აფასებს სწავლის პროცესს, სწავლის შედეგებს და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; იგი მუდმივად ანახლებს საკუთარ ცოდნას სოციოლოგიის სფეროში, შეუძლია სხვისი ზედამხედველობის ქვეშ სოციოლოგიური კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა. იგი მუდმივად ისწრაფვის პროფესიული ზრდისკენ. შეუძლია დაგეგმოს თვითგანვითარებისათვის საჭირო აქტივობები და ეტაპობრივად განახორციელოს ისინი.

ბაკალავრი იცავს პროფესიულ ეთიკას საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე, იქნება ეს კვლევის წარმოება, კოლეგებთან თუ ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობა.

## შედეგებისა და მიზნების რუკა

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა მიზნად ისახავს 7 შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას. კერძოდ:

### შედეგი 1. მყარი თეორიული საფუძველი სოციოლოგიაში

ბაკალავრი ერკვევა სოციოლოგიის ძირითად მიმართულებებში (მიკრო და მაკრო სოციოლოგია) და მათთვის დამახასიათებელ სპეციფიურ მიდგომებში. იცნობს სოციოლოგიის კლასიკურ, მოდერნულ და თანამედროვე თეორიებსა და აზროვნების სკოლებს. იცის თითოეული მათგანის ძირითადი იდეა და არგუმენტები, მსგავსებები და განსხვავებები. შეუძლია კრიტიკულად იმსჯელოს აღნიშნული ავტორებისა თუ აზროვნების სკოლების შესახებ.

### შედეგი 2. ცოდნა დარგობრივ სოციოლოგიაში

ბაკალავრს გააჩნია ბაზისური წარმოდგენა სხვადასხვა დარგობრივი სოციოლოგიის შესახებ (მაგ. შრომის, ეკონომიკის, ჯანდაცვის, რელიგიის, გენდერის და ა.შ.

სოციოლოგია). იცნობს თითოეული მათგანის სპეციფიკას, დარგში დაგროვებულ კვლევით გამოცდილებას და ძირითად აღმოჩენებს, ასევე არსებულ გამოწვევებს. მიღებული ცოდნა წარმოადგენს კარგ საფუძველს კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზაციისათვის.

### შედეგი 3. სოციოლოგიური ანალიზი

პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის, რომ ბაკალავრს შეუძლია სოციალურ მოვლენებზე დაკვირვება და მათი სოციოლოგიური ანალიზი. ეს

უკანასკნელი გულისხმობს მოვლენების გამომწვევი სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ურთიერთკავშირის შესახებ

მსჯელობას, პროცესებში ჩართული სოციალური ჯგუფების იდენტიფიცირებას და თეორიული აპარატის გამოყენებას როგორც უკვე მომხდარის გასაანალიზებლად, ისე მოვლენების განვითარების საპროგნოზოდ.

### შედეგი 4. თვისებრივი კვლევა

ბაკალავრი იცნობს თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. შეუძლია თვისებრივი კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა და

განხორციელება. ასევე შეუძლია საბაზისო დონეზე თვისებრივ მონაცემთა ანალიზი. წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად მუშაობს დასკვნით

სასწავლო პროექტზე.

**შედეგი 5. რაოდენობრივი კვლევა**

ბაკალავრი იცნობს რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. შეუძლია რაოდენობრივი კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება. ასევე შეუძლია საბაზისო დონეზე რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი და შესაბამისი სტატისტიკური პროგრამის გამოყენება. წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად მუშაობს დასკვნით სასწავლო პროექტზე.

**შედეგი 6. (პროფესიული) კომუნიკაცია**

ბაკალავრი იყენებს კომუნიკაციის ინსტრუმენტებს (წერილობითს და ზეპირს). ზეპირი თუ წერილობითი მეტყველების გამოყენებით, აფასებს, აანალიზებს, მსჯელობს, ასაბუთებს და იყენებს ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში, ფლობს კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას.

**შედეგი 7. ღირებულებები და ეთიკა**

ბაკალავრს გააჩნია სწორად ჩამოყალიბებული ღირებულებითი სისტემა. იგი აცნობიერებს კვლევაში ეთიკური ასპექტის მნიშვნელობას, მისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული კეთილსინდისიერება. აცნობიერებს ეთიკურ პრინციპებს და იჩენს მათდამი ერთგულებას ნებისმიერი კომუნიკაციის შემთხვევაში;

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფსიქოლოგიის ბაკალავრი/ Bachelor of Psychology |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრი | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.<br><br>დაინტერესებული პირები საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთინი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები:<br><br>• ქართული ენა და ლიტერატურა;<br>• უცხო ენა (მხოლოდ ინგლისური)<br>• მათემატიკა/ისტორია | **დასაქმების სფერო:**<br><br>საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ პროფესიულ საქმიანობას ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროში (სოციალური, იურიდიული, ორგანიზაციული პოლიტიკური და სხვა). ისინი შეძლებენ მუშაობას ნებისმიერ სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებაში, რომლის ეფექტური ფუნქციონირება ფსიქოლოგიის ცოდნას მოითხოვს. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა, ისევე როგორც პრაქტიკული გამოცდილება, კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ ინტერდისციპლინურ პროექტებში. |

## პროგრამის მიზანი:

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემდეგი 5 მიზნის მიღწევაზეა მიმართული:

- შესძინოს ბაკალავრს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის საბაზისო დარგებში (კოგნიტური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია და სხვა). კერძოდ, საფუძვლიანად გააცნოს ბაკალავრს ფსიქოლოგიაში არსებული თეორიები და მოდელები, ფსიქოლოგიური კონსტრუქტები და ემპირიული კვლევები, რათა ბაკალავრმა შეძლოს მათი გაანალიზება და კრიტიკული შეფასება;
- შესძინოს ფსიქოლოგიის ბაკალავრს ფართო ცოდნა გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგებში (ორგანიზაციული, განათლების, იურიდიული ფსიქოლოგია და სხვა). შეასწავლოს ამ დარგებში არსებული მოდელები და ემპირიული კვლევები, რათა ბაკალავრმა შეძლოს მათი გაანალიზება და კრიტიკული შეფასება. გამოუმუშავოს პრატიკული უნარ ჩვევები, რაც გულისხმობს შეძენილი თეორიული ცოდნის მისადაგებას კონკრეტული ცხოვრებისული პრობლემების მიმართ და მათ გადასაჭრელად სწორი გზების შერჩევას;
- გამოუმუშავოს ბაკალავრს პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარები;
- შესძინოს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა კვლევის მეთოდების (სტატისტიკა და სხვა მეთოდები) გამოსაყენებლად;
- გამოუმუშავოს ბაკალავრს კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთავის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

## სწავლის შედეგები:

### ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრი სიღრმისეულად ფლობს ფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ თეორიულ მიდგომებსა და ძირითად ცნებებს, იცის მოცემული ცნებებისა და კონსტრუქტების დეფინიცია და მათი გამოყენების კონტექსტი; იცნობს დარგის განვითარების ისტორიას და თანამედროვე მიმდინარეობებს; სხვადასხვა ფსიქოლოგიური კურსის შესწავლის საფუძველზე, აღწერს ფსიქოლოგიის მიმართულებებს, აცნობიერებს დარგის პრობლემატიკას და კომპლექსურ საკითხებს; აყალიბებს და მიმოიხილავს ფსიქოლოგიური კვლევის ბაზისურ მეთოდებს, იცნობს შესაბამის მეთოდოლოგიას.

### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

პრაქტიკაში იყენებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა დისციპლინის (კოგნიტური, პიროვნების, სოციალური, იურიდიული და დევიაციური, ორგანიზაციული, პოლიტიკური და სხვა) ფარგლებში შეძენილ ცოდნას; კონსულტაციის პირობებში ახერხებს პრობლემის იდენტიფიკაციას და პოულობს ადეკვატურ გზებს პრობლემების მოსაგვარებლად; წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ბაკალავრი გეგმავს და ახორციელებს სასწავლო ხასიათის პროექტს და მის ცალკეულ კომპონენტებს: იძიებს საჭირო მასალას, აფასებს და აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას, ლოგიკურად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს.

**დასკვნის უნარი:**

ბაკალავრი ადარებს ერთმანეთს ფსიქოლოგიურ მიდგომებს, თეორიებს/მოდელებს და გამოაქვს დასკვნა მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ; ბაკალავრი უსადაგებს ერთმანეთს ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგში მიღებულ ცოდნას მისი სინთეზირებისა და კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირების მეშვეობით; ითვისებს აბსტრაქტული და ლოგიკური აზროვნების უნარს, რომელიც მას საშუალებას აძლევს, გაიაზროს და გაანალიზოს მიღებული ინფორმაცია, განსაზღვროს ფსიქოლოგიის მეცნიერებისა და მისი მომიჯნავე სფეროების აქტუალური ამოცანები და მათი ზოგადი კონტექსტი, სხვადასხვა კუთხიდან შეხედოს ერთსა და იმავე მოვლენასა თუ კონცეფციას.

**კომუნიკაციის უნარი:**

ბაკალავრი წერილობითი და ზეპირი ფორმით გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა თემასთან თუ პრობლემასთან დაკავშირებით; გადმოსცემს საკუთარ დასკვნებს და არგუმენტებს; ამყარებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას კოლეგებთან, გადასცემს ინფორმაციას როგორც სპეციალისტებს, ასევე არასპეციალისტებს მშობლიურ და ინგლისურ ენებზე; კომუნიკაციის პროცესში სწორად იყენებს ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიას. ბაკალავრი ითვისებს ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს და ეფექტურად იყენებს მათ. ბაკალავრი აქტიურად მონაწილეობს ფსიქოლოგიურ თემატიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

**სწავლის უნარი:**

ბაკალავრი სწავლას მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად წარმართავს; ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. ბაკალავრი აფასებს სწავლის პროცესს, სწავლის შედეგებს და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; ბაკალავრი ისწარფვის საკუთარი ცოდნას განახლებისა და პროფესიული ზრდისკენ.

**ღირებულებები:**

ბაკალავრი აღიარებს და პატივს სცემს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და კულტურულ მრავალფეროვნებას, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს; მოქმედებს სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით; აღიარებს გენდერული ასპექტის და თანაბარი შესაძლებლობების მნიშვნელობას;
ბაკალავრი იღებს ეთიკურ გადაწყვეტილებებს, მოქმედებს კოლეგიალურად და სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას; იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს ; იცავს გამოკითხვისა თუ კვლევის ეთიკის სტანდარტებით გათვალისწინებულ გამოკითხვის/კვლევის ობიექტის ნების თავისუფლებას და მის უვნებლობას; კორექტულად გამოთქვამს და იღებს კრიტიკას; პატივს სცემს საავტორო უფლებებს და უარყოფს პლაგიატს.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# სამართლისა და პოლიტიკის სკოლის პროგრამები

## სამართლის საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br><br>სამართლის საბაკალავრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამართლის ბაკალავრი / Bachelor of Law |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.<br><br>დაინტერესებული პირები საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთინი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები:<br><br>• ქართული ენა და ლიტერატურა;<br>• უცხო ენა (ინგლისური/ფრანგული/გერმანული ან რუსული ენა)<br>• მათემატიკა/ისტორია | **დასაქმების სფერო:**<br><br>საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც კერძო ასევე, სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. |

## პროგრამის მიზანი:

სამართლის  საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება საჯარო, კერძო, სისხლის სამართლის მიმართულებით;
- საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტებისა და პრინციპების ცოდნა.

სამართლის  საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

## სწავლის შედეგები:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

ბაკალავრს აქვს სპეციალიზაციის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზირებული თეორიული ცოდნა, ამასთან ერთად გააჩნია პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს პროფესიული მოღვაწეობა. არსებული თეორიული ცოდნა საშუალებას აძლევს, კრიტიკულად გაიაზროს სამართლის თეორიები და პრინციპები, ასევე გაიგოს და გააცნობიეროს სფეროს კომპლექსური საკითხები და ურთიერთდაკავშირებული პრობლემები.

ბაკალავრს აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა, სამართლებრივი სისტემის სტრუქტურა. კურსდამთავრებულმა იცის: სამართლის განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და საქართველოს კონსტიტუციის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო

სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებები; სანივთო სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.

ბაკალავრს გააჩნია ღრმა ცოდნა ქართული სამართლისა და კანონმდებლობის შესახებ. ის ფლობს განათლებას ქართული სამართლის ყველა ძირითადი მიმართულებით, მათ შორის საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროებში. ბაკალავრი იცნობს სამართლის სისტემას და ზოგადი ნორმების ადგილს ამ სისტემაში, ასევე ქართული სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, შესაბამისი სამართლებრივი პრინციპებისა და ღირებულებების ერთობლიობას. ბაკალავრისათვის ასევე ცნობილია ქართული სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები. ბაკალავრი კარგად ფლობს მთლიანად სამართლის სფეროსათვის დამახასიათებელ ინტერპრეტაციისა და სამართლის მეთოდლოგიის საკითხებს. ფლობს სახელმწიფო მოწყობისა ასევე ადამიანის უფლებების საკითხებს. ბაკალავრი კარგად იცნობს საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა: საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი და საერთაშორისო ორგანიზაციები. კერძო სამართლის მიმართულებით ბაკალავრი ეუფლება ისეთ საგნებს, როგორიცაა: შესავალი კერძო სამართალში (სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი) ვალდებულებითი სამართალი (მათ შორის კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთოებები), სახელშეკრულებო სამართალი, სანივთო სამართალი და საოჯახო/სამემკვიდრეო სამართალი. ბაკალავრს კარგად ესმის, ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები. ასევე, კარგად ერკვევა სისხლის სამართლის პრინციპებში და ისეთ საკითხებში, როგორიცაა: დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები. ბაკალავრი ეუფლება განათლებას სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებში, მისთვის ცნობილია ქართული სამართლის ისტორიული წყაროები. ამასთან ერთად, არჩეული ძირითადი სამართლის სფეროების ფარგლებში, ბაკალავრს საშუალება აქვს დაეუფლოს კონკრეტულ სამართლებრივ მიმართულებებს და განშტოებებს და შესაბამისი მიმართულებით გაიღრმავოს ცოდნა. ბაკალავრი კარგად ერკვევა არსებულ სასამართლო პრაქტიკაში და ეცნობა ქართულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ბაკალავრი ეცნობა საქართველოს ძირითად კანონებსა და ნორმატიულ აქტებს, რომელიც ეკუთვნის სხვადასახვა სამართლებრივ სფეროს, მათ შორის სისხლის, სამოქალაქო და საჯარო სამართლის მიმართულებებს. ბაკალავრი კარგად იცნობს აღნიშნული აქტების შინაარსს და მათ სტრუქტურას, შეუძლია შესაბამისი და საჭირო ნორმების და მუხლების იდენტიფიცირება, განმარტება და გამოყენება.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, ბაკალავრს გააჩნია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული თვისებების საკმარისი მარაგი გადაწყვიტოს აბსტრაქტული პრობლემები შესაბამის დარგში. ბაკალავრს შეუძლია დროის/რესურსის სიმცირის პირობებშიც ადეკვატური და ეფექტური გზები მონახოს პრობლემატური სიტუაციის გადასაჭრელად. ბაკალავრი იყენებს სფეროსათვის დამახასიათებელ მეთოდებისა და პრინციპების ერთობლიობას თეორიული და კვლევითი საკითხების გადასაწვეტად.

ბაკალავრს აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების და სარჩელის) შედგენა.

ბაკალავრს უნარი აქვს მიღებული განათლება გამოიყენოს პრაქტიკაში. ბაკალავრს აქვს მყარი ცოდნა იურიდიული მეთოდოლოგიის საკითხებში, რაც მას საშუალებას აძლევს  მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი საკითხის იდენტიფიცირება, ამ საკითხის ირგვლივ შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გამოყოფა და სათანადო სამართლებრივი ნორმის გამოყენებითა და სუბსუმფციის გზით სამართლებრივი დასკვნის გამოტანა.  ამავდროულად ბაკალავრს აქვს პრაქტიკული უნარები, მათ შორის საკუთარი აზრების პრეზენტაცია, ინსცენირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობა. მას შეუძლია შეადგინოს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტები (მათ შორის ხელშეკრულებები და შეთანხმებები) და გასცეს პრაქტიკული იურიდიული რჩევები.

ბაკალავრს შეუძლია  ადვილად მოძებნოს ფაქტობრივი გარემოებების შესატყვისი სამართლის ნორმა და განახორციელოს ამ უკანასკნელის განმარტება და მისი გამოყენება შესაბამისი ფაქტების მიმართ.

სამართლებრივ ტექსტებთან და კანონებთან მუშაობის შედეგად ბაკალავრს უყალიბდება ტექსტების კვლევისა და ანალიზის უნარი, რაც შეუძლია წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში.

**დასკვნის უნარი:**

ბაკალავრს უნარი აქვს შეაგროვოს, განმარტოს, სწორად წაიკითხოს და კრიტიკულად შეაფასოს წარმოდგენილი მასალა. მას უნარი აქვს მოახდინოს აუცილებელი ინფორმაციის იდენტიფიცირება, მისი გამოყოფა და შემდგომი სინთეზი. ასევე ხელეწიფება, სწორად ჩამოაყალიბოს პრობლემა და მისი ანალიზის საფუძველზე წარმოადგინოს გადაწყვეტის გზები. ბაკალავრს შეუძლია, არჩეული გადაწყვეტილება დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციის, მეთოდებისა და პრინციპების საფუძველზე.

ბაკალავრს აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის, თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი. ბაკალავრი მუდმივად მუშაობს კაზუსებზე და ჰიპოტეტურ სამართლებრივ შემთხვევებზე და გამოიმუშავებს სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების და არგუმენტირების უნარს.

ბაკალავრს გააჩნია ფაქტებიდან, სამართლებრივად მნიშვნელოვანი და რელევანტური საკითხების იდენტიფიცირების, ანალიზისა და დასაბუთებული სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების უნარი.  სწავლისას მიღებული ცოდნისა და შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე, მას შეუძლია სამართლებრივი პრობლემის სხვადასხვა ჭრილში დანახვა ალტერნატიული არგუმენტების განსაზღვრით.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბაკალავრი შეძლებს იურიდიული ნაშრომებისა და დოკუმენტების გაანალიზებას, სასამართლო გადაწყვეტილებების ტექსტებიდან შესაბამისი სამართლებრივი წესის განზოგადებას და მის ჩამოყალიბებას. ასევე აღნიშნული გადაწყვეტილებების კრიტიკულ შეფასებას შესაბამისი არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების განსაზღვრის გზით. აღნიშნულის ფონზე ბაკალავრს შეუძლია არჩეული მოსაზრების დასაბუთება.

**კომუნიკაციის უნარი:**

ბაკალავრს შეუძლია მკაფიოდ ჩამოყალიბოს თავისი არგუმენტები და მოსაზრებები, მოახდინოს მისი გადმოცემა სწორი პროფესიული ენით და იმ საშუალებებით, რაც საკმარისია არაპროფესიონალის მიერ ინფორმაციის აღქმისა და გაგებისათვის. ბაკალავრი ასევე ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. ამასთან ერთად გარკვეულ საკითხებზე ბაკალავრს შეუძლია ინფორმაციის გადმოცემა და ახსნა უცხოურ ენაზე. ბაკალავრს ჩამოყალიბებული აქვს საკმარისი წერილობითი ჩვევები, ძალუძს საკუთარი აზრების წერილობით გადმოცემა გასაგები შინაარსით.

ბაკალავრს აქვს ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენაზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი.

სამართლის პროგრამა გაჯერებულია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ერთობლიობით. პრაქტიკული უნარ-ჩვებები მოიცავს ასევე ბაკალავრის უნარს განახორციელოს საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების სწორი და მკაფიო ფორმით კომუნიკაცია. ბაკალავრს შეუძლია მშობლიურ ენაზე ჩამოაყალიბოს სამართლებრივი არგუმენტები და ამ მიზნით გამოიყენოს სათანადო იურიდიული ტერმინოლოგია და სწორი გრამატიკული ფორმები. მას გააჩნია კარგად გამომუშავებული წერის კულტურა და შეუძლია წერილობით წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია სამართლებრივი არგუმენტაციის მეთოდების გამოყენებით.

ბაკალავრს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის გადასაწყვეტად სამართლის ყველა შესაბამისი წყაროს მოძიება, განმარტება და გამოყენება თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით. ამავდროულად ბაკალავარს შესაძლებლობა აქვს დაეუფლოს ინგლისურ (მათ შორის ინგლისურს იურისტებისათვის), რაც მას საშუალებას აძლევს პროფესიულ დონეზე აწარმოოს კომუნიკაცია უცხო ენებზე, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით.

**სწავლის უნარი:**

ბაკალავრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ასევე ძალუძს დამოუკიდებლად დაძლიოს რთული და კომპლექსური საკითხების შესწავლა და გაცნობიერება. ბაკალავრი თავად ირჩევს საკუთარ სასურველ სწავლის მიმდინარეობას, გამომდინარე არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან.

შემოთავაზებული საგნების ფარგლებში ის დამოუკიდებლად ირჩევს შესაბამის საგანს საკუთარი ინტერესისა და შესაძლებლობების საუკეთესო გამოვლენის, ასევე მოსალოდნელი საჭიროებების მიხედვით.

ბაკალავრს აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნების და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

ბაკალავრს შეუძლია დამოუკიდებლად გადადგას ნაბიჯები იურიდიული პროფესიის დაუფლების პროცესში. სწავლის პერიოდში ბაკალავრი სწავლობს ქართული სამართლებრივი სისტემის ძირითად საკანონმდებლო აქტებს. ის იცნობს არა მხოლოდ აღნიშნული კანონების შინაარსს, არამედ შეუძლია თვალყური ადევნოს მასში განხორციელებულ ცვლილებებს. ანალოგიური კომპეტენციები გააჩნია ბაკალავრს, სასამართლო გადაწყვეტილებების პრაქტიკის კუთხით, რომელსაც ის ეუფლება რიგი საგნების ფარგლებში. შესაბამისად, ბაკალავრი ინარჩუნებს პროფესიული ზრდის, სიახლეების მიდევნებისა და მუდამ განახლების ტემპს. მას შეუძლია თვალყური ადევნოს საკანონმდებლო სიახლეებს, დამოუკიდებლად მიაკვლიოს შესაბამის წყაროებს, გაეცნოს და გაიგოს სასამართლოს გადაწყვეტილებები. ბაკალავრს შეუძლია სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე.

**ღირებულებები:**

ბაკალავრი აფასებეს თავის და სხვების დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი და პასუხისმგებლობით იცავს პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. ის იძენს შემეცნებას იმ პრინციპებისა და ღირებულებების თაობაზე, რომელსაც ეყრდნობა არჩეული პროფესიული მიმართულება. მას უნარი აქვს საფუძვლად დაუდოს არგუმენტირების პროცესს შესაბამისი ღირებულებები და მზადაა ისწრაფოს ამ ღირებულებების დასაცავად და დასამკვიდრებლად.

ბაკალავრი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

თავის საქმიანობაში ის ხელმძღვანელობს სამართლიანობის პრინციპით და ითვალისწინებს ასევე საზოგადოებაში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს. ის გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას ბაკალავრი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვას. ღირებულებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, ბაკალავრი ირჩევს შესაბამის ღირებულებას ისე, რომ არ დარღვიოს მესამე პირების უფლებები და არ გამოიწვიოს მათი არალეგიტიმური შეზღუდვა; სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, მოქმედებს კეთილსინდისიერად საჭიროების შემთხვევაში.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

## საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br><br>საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საერთაშორისო სამართლის მაგისტრი / Master of International Law |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი | **სწავლების ენა:** ინგლისური |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:**<br><br>მაგისტრატურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს სამართალში.<br><br>საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები რომლებიც:<br><br>• წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას;<br><br>• წარმტებით გაივლიან შიდა საუნივერისტეტო გამოცდას/გასაუბრებას სპეციალობაში;<br><br>• წარმატებით ჩააბარებენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ინგლისურ ენაში (B 2 დონე) | **დასაქმების სფერო:**<br><br>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც კერძო ასევე, საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც არ არის აუცილებელი სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. |

**პროგრამის მიზანი:**

საერთაშორისო სამართლის  სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიღწევების, გამოწვევების, განვითარების ძირითადი ტენდენციების, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების, საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების, ასევე სამეცნიერო კვლევის იურიდიული მეთოდების (მათ შორის, შედარებითი მეთოდის გამოყენებით), აკადემიური პატიოსნების და ეთიკის წესების, სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ;
- გამოუმუშავოს უახლესი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საერთაშორისო სამართლის უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე საკუთარი ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების და რთული სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
- შესძინოს სამართლებრივი ნორმების პროფესიულ დონეზე განმარტების, საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებისა და არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების და ანალიზის უნარი;
- გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის განსაზღვრის და ფორმულირების, მისი გადაჭრის გზების შემუშავების, სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით პროცესის ორგანიზების და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი წესებისა და პრინციპების უნარი;
- გამოუმუშავოს ნებისმიერ აუდიტორიასთან საკუთარი კვლევითი მიგნებების, მოსაზრებებისა და ანალიზის წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი;
- გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, რელევანტური და აქტუალური ინფორმაციის მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; გამოუმუშავოს აკადემიური და პროფესიული ეთიკის, სამეცნიერო კვლევის შედეგების, სტანდარტების დაცვის, პროფესიული პრაქტიკისა და ღირებულებების განვითარების უნარი.

## სწავლის შედეგები:

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

(A) აღწერს თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნული სამართლის მიღწევებს, განვითარების მთავარ მიმართულებებს, გამოწვევებსა და ხარვეზებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და გავლენების საკითხებს (მათ შორის ეროვნული სამართლის ევროპეიზაციის საკითხებს), განსაზღვრავს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის განსხვავებებსა და მსგავსებებს, იცნობს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ მიდგომებს და პრინციპებს, აქტუალურ თემებს, ასევე იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შედგენის პრინციპებს, სამოსამართლო ეთიკის წესებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს; ეუფლება ძირითადი საერთაშორისო შეთანხმებებით და წამყვანი იურისდიქციების მიერ ჩამოყალიბებულ და

შემუშავებულ სამართლებრივი სისტემების თავისებურებებსა და მოდელებს, ასევე ამ სამართლებრივი სისტემების დინამიური განვითარებისა და მიმდინარეობის პროცესს;

(B) აანალიზებს უახლეს ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, საერთაშორისო სამართლის უახლეს მეცნიერულ კვლევებს და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე შეიმუშავებს ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

(C) განმარტავს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, აფასებს საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებსა და არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, შეიმუშავებს რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ გზებს;

(D) განმარტავს სამართლის ნორმებს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი მეთოდის გამოყენების საფუძველზე;

(E) განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას და შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევით პროექტს/ნაშრომს;

(F) წერითი და ზეპირი ფორმით უზიარებს პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებას საკუთარი კვლევის შედეგებს, დასკვნებსა და არგუმენტებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

(G) განსაზღვრავს შესაბამის წყაროებს და ამ წყაროების გამოყენებით დამოუკიდებლად მოიპოვებს რელევანტურ, აქტუალურ და უახლეს ინფრმაციას;

(H) მაგისტრი პატივს სცემს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, აანალიზებს პროფესიის ეთიკურ, ზნეობრივ და მორალურ ასპექტებს, სამეცნიერო კვლევების ეთიკურ მოთხოვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში. აღიარებს და იცავს აკადემიური პატიოსნების წესებსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს; იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. ეფექტურად იყენებს სამუშაო დროს და ახორციელებს კვლევას წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიის მიხედვით;

(I) მაგისტრს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარის გამომუშავებას. გააჩნია ცოდნის მუდმივად განახლების უნარი, პასუხისმგებლობას იღებს საკუთარი და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, უზიარებს საკუთარ გამოცდილებას კოლეგებს გუნდური მუშაობის ან იმიტირებული პაექრობის ფარგლებში. სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს, აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br><br>საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი / Bachelor of International Relations |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.<br><br>დაინტერესებული პირები საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთინი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები:<br><br>• ქართული ენა და ლიტერატურა;<br>• უცხო ენა (ინგლისური/ფრანგული/გერმანული ან რუსული ენა)<br>• მათემატიკა/ისტორია | **დასაქმების სფერო:**<br><br>საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს წარმატებით იმუშაოს კერძო, საჯარო და საზოგადოებრივ სექტორში. |

## პროგრამის მიზანი:

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის მიზანია სტუდენტებს შესძინოს:

- საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სკოლების, თეორიებისა და პრაქტიკის ფართო ცოდნა;
- პოლიტიკური აზრისა და ისტორიის ფართო ცოდნა;
- საერთაშორისო ურთიერთობების მომიჯნავე სფეროების ზოგადი ცოდნა;

საერთაშორისო ურთიერთობების  საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავოს:

- მიმდინარე საერთაშორისო საკითხების ახსნისა და კრიტიკული ანალიზის უნარი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ თეორიებზე დაყრდნობით დასკვნების ჩამოყალიბებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;
- პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან საერთაშორისო საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, როგორც ქართულ ასევე უცხო ენებზე;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად კვლევითი და ანალიტიკური პროექტების ჩატარების უნარი;
- პრაქტიკული ან კვლევითი საქმიანობისას კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვის უნარი.

## სწავლის შედეგები:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

საერთაშორისო ურთიერთობების  შესწავლითა და  გაცნობიერებით სტუდენტი იცნობს და აღწერს დარგის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს და მიმართულებებს - როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიები, ეროვნული უსაფრთხოება, მსოფლიო პოლიტიკური ისტორია, საერთაშორისო ორგანიზაციები, პოლიტიკური რეჟიმები და სხვა. სტუდენტი ფლობს ცოდნას  საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სკოლების (რეალიზმი, ლიბერალიზმი, კრიტიკული თეორიები) ძირითადი პრინციპების შესახებ და აკავშირებს აღნიშნულ თეორიებს თანამედროვე პოლიტიკურ მოვლენებთან. სტუდენტი აღწერს სახელმწიფოსა და სხვა აქტორების რაობას და მათ როლს საერთაშორისო საზოგადოებაში. ბაკალავრი არსებული თეორიული ჩარჩოს ფარგლებში განმარტავს სახელმწიფოთა ინტერაქციის ძირითად შედეგებს. ამასთან, სტუდენტი იცნობს მომიჯნავე სფეროების იმ მიმართულებებს, რომლებიც საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობების ათვისებისთვის - როგორიცაა ისტორია, შედარებითი პოლიტიკა, ეკონომიკა, გეოგრაფია, სამართალი და სხვა. სპეციფიკურად დარგობრივი სფეროების გარდა, სტუდენტი ტრანსფერული უნარების გამომუშავების მიზნით, იცნობს ისეთი დარგების ძირითად პრინციპებს, როგორიცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლიტერატურა, რაც მას აძლევს, როგორც ქართულ, ასევე მულტიკულტურულ სივრცეში საქმიანობის შესაძლებლობას.

**უნარი:**

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების მეშვეობით, სტუდენტი აანალიზებს მსოფლიო პოლიტიკის მიმდინარე საკითხებს, პრობლემებს და აყალიბებს მისი გადაჭრის სავარაუდო გზებს; შესწავლილ მასალას აკავშირებს მიმდინარე მოვლენებთან და აკეთებს შესაბამის დასკვნებს ცალკეულ შემთხვევათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობებთან, გლობალურ და ეროვნულ უსაფრთხებასთან დაკავშირებულ საკითხებს ისეთი საკითხების ჭრილში, როგორიცაა სამხედრო ძალა, ეკონომიკური განვითარება, ძალთა ბალანსი, პოლიტიკური სტაბილურობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუციები და სხვა. ბაკალავრი აღნიშნულ საკითხებზე დაყრდნობით, აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს, რომლებიც ითვალისწინებს შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს. სტუდენტს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში შესაბამისი მონაცებემის შეგროვება და განმარტება, მონათესავე სფეროებში არსებულ მონაცემებთან შედარება და მათი დაკავშირების საფუძველზე არსებული დასკვნების ანალიზი.

საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე რეგულარული დისკუსიები, პრეზენტაციები, პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან შეხვედრები სტუდენტს უყალიბებს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარს კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; აკადემიური წერითი უნარების გაღრმავებისა და უცხო ენების ათვისების გზით, ბაკალავრი იუმჯობესებს კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ აუდიტორიასთან. სტუდენტს შეუძლია, იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ანგარიშის მომზადება.

წინასწარგანსაზღვრული მითითების შესაბამისად, სტუდენტი სოციალური კვლევის თანამედროვე მეთოდებისა (რაოდენობრივი, თვისებრივი) და კომუნიკაციის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ასრულებს კვლევით პროექტს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

სტუდენტს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა, გააზრებული აქვს ჯგუფურად განსახორციელებელი აქტივობების აუცილებლობა და ტოლერანტულია კოლეგების განსხვავებული აზრისადმი. ბაკალავრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკის ნორმების ფარგლებში და აღიარებს პლაგიარიზმისა და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისების ყველა ფორმის დაუშვებლობას. სტუდენტი იზიარებს სამოქალაქო და მართვის დემოკრატიულ პრინციპებს. სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. სტუდენტს გააზრებული აქვს ეროვნული უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვის ღირებულებები. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს.

შედეგი 1. ფლობს პოლიტიკური ისტორიის, ძალაუფლების, რეჟიმებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ ფართო ცოდნას;

შედეგი 2. იცნობს საერთაშორისო ურთიერთობების წამყვან სკოლებს: რეალიზმი, ლიბერალიზმი და კრიტიკული თეორიები;

შედეგი 3. აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების წინაშე არსებულ თანამედროვე პრაქტიკულ გამოწვევებს;

შედეგი 4. საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს აანალიზებს მომიჯნავე დარგების ჭრილში, როგორიც არის სტრატეგია/უსაფრთხება, ეკონომიკა, საზოგადოებრივი გეოგრაფია და სხვა;

შედეგი 5. აქვს კრიტიკული ანალიზის, არგუმენტირებული დასაბუთებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;

შედეგი 6. აქვს ქართულ და უცხო ენებზე წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ აუდიტორიასთან;

შედეგი 7. ხელმძღვანელის წინასწარი მითითების შესაბამისად, ფლობს მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის, კვლევითი პროექტის განხორციელების უნარს;

შედეგი 8. ისწრაფვის განვითარებისაკენ, იცნობს და აღიარებს ზოგადი და პროფესიული ეთიკის პრინციპებს და პატივს სცემს განსხვავებულ აზრს.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.**

# საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br><br>საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი / Master of International Relations |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:**<br><br>მაგისტრატურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებიც:<br><br>• წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას<br>• წარმატებით გაივლიან შიდა საუნივერისტეტო გასაუბრებას/გამოცდას სპეციალობაში<br>• წარმატებით გაივლიან გასაუბრებას ინგლისურ ენაში (B2 დონე) | **დასაქმების სფერო:**<br><br>საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში ასევე, კერძო სექტორშიც. პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ და პრაქტიკაზე დამყარებულ ცოდნას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას იმუშაონ პრაქტიკული მიმართულებით და ასევე, მკვლევარებად. |

## პროგრამის მიზანი:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიისა და პრაქტიკის ღრმა და სისტემური ცოდნა;
- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო სამართლის, ასევე სახელმწიფო მოწყობისა და მოდელის როლის შესახებ ცოდნა;

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს:

- უსაფრთხოების პოლიტიკაში შეიარაღებული ძალებისა და სპეცსამსახურების როლისა და ადგილის გააზრების უნარი;
- საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიის როლის სიღრმისეული გააზრების უნარი;
- საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე საკითხების კომპეტენტური ანალიზის უნარი, ანალიტიკური დოკუმენტების, აკადემიური სტანდარტების დაცვით კვლევის განხორციელებისა და შესაბამისი შედეგების გაცნობის/პრეზენტირების უნარი;
- ახალ, მულტიდისციპლინურ გარემოსთან ადაპტირების, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარი.

## სწავლის შედეგები:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

მაგისტრს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური და სიღრმისეული ცოდნა, რაც საშუალებას აძლევს უკეთ გაიაზროს და კრიტიკულად შეაფასოს არა მხოლოდ თავის სფეროსთან დაკავშირებული, არამედ მომიჯნავე დარგების საკითხებიც. მაგისტრი იცნობს უახლეს მიღწევებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობების თეორია და პრაქტიკა, შედარებითი პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარება, უსაფრთხოება და სტრატეგია, საერთაშორისო ურთიერთობათა სამართლებრივი ასპექტები, რაც ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის და ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

**უნარი:**

მაგისტრი იაზრებს და იყენებს თეორიულ მოდელებს პრაქტიკაში, აანალიზებს მოცემულ პრობლემებსა და საკითხებს, ახდენს ახალი იდეების გენერირებას უცნობ და მულტიდისციპლინურ გარემოში. მაგისტრი აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე საკითხებს და აყალიბებს შესაბამისი მიმართულებებით საჭირო ნაბიჯებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით.

მაგისტრი, მიღებული ცოდნის საფუძველზე, დამოუკიდებლად ატარებს კვლევას, რომლის განხორციელების პროცესში იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს , იყენებს უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს.

მაგისტრი მოვლენებს აანალიზებს ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით. მაგისტრი იძიებს ადეკვატურ და სანდო ინფორმაციას, კრიტიკულად აანალიზებს რთულ და/ან არასრული ინფორმაციას (მათ შორის, უახლეს კვლევებს), ახდენს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს, ამუშავებს და აკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს. მის მიერ გაკეთებული დასკვნები არ არის ცალმხრივი, ეფუძნება მრავალმხრივ ხედვას და არის მიუკერძოებელი.

მაგისტრს შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტებისა და აკადემიური პასუხისმგებლობის დაცვით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

მიღებული ცოდნის შედეგად მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად გააგრძელოს დარგის და ასევე მომიჯნავე დისციპლინების უფრო სიღრმისეული შესწავლა. მაგისტრი ეფექტურად მუშაობს უცნობ და მულტიდისციპლინარულ პირობებში, როგორც ინდივიდუალურად ასევე გუნდთან ერთად. მას გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა როგორც თავისი, ასევე სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. მაგისტრს ძალუძს პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა.

**სწავლის შედეგები:**

1. მაგისტრს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და პრაქტიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის უსაფრთხოების, ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტების ჭრილშიც.
2. მაგისტრი ფლობს უცნობ და მულტიდისციპლინარულ გარემოში პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიებისა და ახალი იდეების განვითარების უნარს;
3. მაგისტრი ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე მოვლენებზე ადეკვატური და სანდო წყაროების მოძიებისა და მათი დამუშავების უნარს; მიღებული ცოდნის საფუძველზე მაგისტრი ღრმად და ობიექტურად აანალიზებს და დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევებს თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; კვლევის განხორციელებისას მაგისტრი ხელმძღვანელობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
4. მაგისტრი მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აკადემიურ და პროფესიულ წრეებთან წარადგენს საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებსა და კვლევის შედეგებს;
5. მაგისტრს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დამოუკიდებლად განვითარება და გუნდთან ერთად ეფექტური მუშაობა;
6. მაგისტრს ძალუძს პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განვითარებაში წვლილის შეტანა.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლის პროგრამები

## აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br>აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ხელოვნების ბაკალავრი აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაში / Bachelor of Arts in Audio-visual arts<br>ხელოვნების ბაკალავრი მედია ხელოვნებაში / Bachelor of Arts in Media arts |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.<br>დაინტერესებული პირები საგანმანათლბლო პროგრამაზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე.<br>ერთინი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები:<br>• ქართული ენა და ლიტერატურა;<br>• უცხო ენა (ინგლისური ან ფრანგული ან გერმანული ენა, გარდა რუსული ენისა)<br>• მათემატიკა/ისტორია<br>• სახვითი ხელოვნება (18 ადგილი მათემატიკა ჩაბარებულებისთვის, ხოლო 12 ადგილი ისტორია ჩაბარებულებითვის) ან ლიტერატურა (12 ადგილი მათემატიკა ჩაბარებულებისთვის, 8 ადგილი ისტორია ჩაბარებულებისთვის) | **დასაქმების სფერო:**<br>აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის, სპეციალობებით აუდიო-ვიზუალური ხელოვნების და მედია ხელოვნების კურსდამთავრებულები დასაქმდებიან კრეატიულ ინდუსტრიაში.<br>**აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით:** სამაუწყებლო კომპანიებში, პროდაქშენის და პოსტ-პროდაქშენ სტუდიებში და ასევე ბიზნეს სექტორში.<br>**მედია ხელოვნების მიმართულებით:** კრეატიულ სააგენტოებში, დიზაინ სტუდიებში - გრაფიკული ან ციფრული დიზაინის მიმართულებით, სარეკლამო და ციფრული ფროდაქშენის (ვიდეო, ანიმაცია და თამაშები), ბიზნეს სექტორში მარკეტინგის დეპარტამენტებში, იმ პოზიციებზე, სადაც არ არის სავალდებულო მაგისტრის ხარისხი. |

**პროგრამის მიზანი:**

**აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:**

- ფართე განათლება ვიზუალურ ხელოვნებაში, როგორც ძირითადი სპეციალობის საფუძველი.
- შემოქმედებითი, ტექნიკური და პროფესიონალური უნარ-ჩვევები ძირითადი სპეციალობის ფარგლებში.

მედია ხელოვნების სპეციალობის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- შემოქმედებითი კონცეპტუალური ხედვა - შემოქმედებითი კონცეფციის ჩამოყალიბების, იდეების გენერირების და განვითარების, კრეატიული და ანალიტიკური აზროვნების უნარი.
- ვიზუალური კომუნიკაციის უნარი - გრაფიკული და ციფრული დიზაინის, ვიდეო კონტენტის შექმნისა და ვიზუალური თხრობის მეთოდების გამოყენება შემოქმედებით პროექტებში.
- სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარი - სტრუქტურული აზროვნება კრეატიული კონცეფციის შესამუშავებლად, მედია მატარებლების გამოყენებას კონკრეტულ პროექტთან ან ბრენდებთან მიმართებაში, ინტეგრირებული კამპანიისთვის მედიებისა და ციფრული ტექნოლოგიების შერჩევის, დაგეგმვისა და მართვის, შედეგების კრიტიკულად შეფასებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის უნარი.
- ტექნიკური უნარები - თანამედროვე ციფრული, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეთოდებისა და ხერხების შერჩევის უნარი კონკრეტულ პროექტთან მიმართებაში და მისი შემოქმედებითად გამოყენება.
- ტრანსფერული უნარი - ცოდნისა და უნარების დემონსტრირება, იდეების რეალიზება, კამპანიის დაგეგმვა, პროექტის განვითარების თანმიმდევრული გააზრება და პროექტის განხორციელება, სამუშაოს კრიტიკულად შეფასება. კოლეგებთან და დამკვეთებთან პროფესიონალური ურთიერთობა, ეფექტიანად, ნაყოფიერად და ანგარიშვალდებულად მუშაობა გუნდში. სარეკლამო კონცეფციების, გეგმების, წინადადებებისა და საკითხების ეფექტიანად და პროფესიონალურად წარმოდგენა ფორმატისა და ვადების დაცვით.

მედია ხელოვნების სპეციალობის მიზანია სტუდენტმა **შეძლოს:**

- თავის დამკვიდრება კრეატიულ ინდუსტრიაში, მრავალმხრივი/მრავალფეროვანი შემოქმედებითი და ტექნიკური უნარების დაუფლებით მრავალმილიონიან ინდუსტრიაში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმება.
- ქართული სარეკლამო ინდუსტრიის განვითარებაში წვლილის შეტანა. საერთაშორისო პროექტებსა და კონკურსებში მონაწილეობით გაზარდოს ინდუსტრიის ცნობადობა საერთაშორისო დონეზე.

აუდიო-ვიზუალური სპეციალობის მიზანია სტუდენტს **გამოუმუშავოს:**

- შემოქმედებითი უნარები - ვიზუალური თხრობის ტრადიციული და თანამედროვე ფორმების ცოდნა. კვლევითი, ანალიტიკური, ექსპერიმენტული, პრაქტიკული და გამომხატველობითი უნარები, ესთეტიკის აღქმა და კრიტიკული განსჯის უნარი.
- პრაქტიკული განხორციელება - ვიზუალური პროექტის განხორციელებისთვის საჭირო უნარების ფლობა, საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების მუშაობის სპეციფიკის ცოდნა. როგორც შემოქმედებითი, ისე პრაქტიკული პროცესების დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.
- აუდიო-ვიზუალური კომუნიკაციის უნარი - პროექტის პოტენციალის შეფასების უნარი და ბაზართან მისი რელევანტურობის, დროულობის განსაზღვრა.
- ტექნიკური უნარები - აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების წარმოების ყველა საჭირო ტექნიკურ უნარის (სცენარი, კამერა, განათება, ხმა, მონტაჟი, ფერის კორექცია და ა.შ.) ფლობა.
- ტრანსფერული უნარი - ცოდნისა და უნარების დემონსტრირება, პრაქტიკულად გამოყენება, პროფესიონალური ეფექტური კომუნიკაცია, ნაყოფიერად და ანგარიშვალდებულად მუშაობა გუნდში, შემოქმედებითი პროექტის კონცეფციების, წინადადებების, განხორციელების გეგმების ეფექტიანად, პროფესიონალურად წარმოდგენა ფორმატისა და ვადების დაცვით.

აუდიო-ვიზუალური სპეციალობის მიზანია, სტუდენტმა **შეძლოს:**

- საკუთარი თვითგამოხატვის ფორმის პოვნა, ჟანრული მრავალფეროვნების გაცნობა და გათავისება, შეძენილი უნარების საჭიროების შესაბამისად გამოყენება.
- მზარდ კინოინდუსტრიაში საკუთარი თავის დამკვიდრება და ახალი ფორმატების ინტეგრირება საკუთარ შემოქმედებაში.

## სწავლის შედეგები:

**ცოდნა და გაცნობიერება:** სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს-ასპექტს.

ბაკალავრს აქვს ხელოვნების მიმართულების შესახებ, ასევე აუდიო-ვიზუალური ან მედია ხელოვნების მიმართულების საფუძვლიანი ცოდნა. ბაკალავრი ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას კონკრეტულ სფეროში არსებული თეორიებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ და აცნობიერებს ამ სფეროს კომპლექსურ საკითხებს. აქვს არტეფაქტების იდენტიფიცირების უნარი, შეუძლია ხელოვნების მიმდინარეობებსა და სტილზე მსჯელობა, მათი გარჩევა და შედარება, ხელოვნების პროდუქტების მიმოხილვა და მთავარი იდეის/აზრის გამოტანა. კარგად ერკვევა თანამედროვე ტრენდებში. კარგად ფლობს საჭირო კომპიუტერულ პროგრამებს. ერკვევა ხელოვნების მიმდინარეობებსა და სტილებში, თანამედროვე ტრენდებში. შეუძლია ინფორმაციის შეგროვება, ამოცანების განსაზღვრა, საკუთარი შემოქმედებითი პროექტის შექმნა და წარდგენა. შეუძლია მიღებული დავალების გაგება, შემოქმედებითი გადაწყვეტილების მიღება და მისი ფორმულირება, იდეების აღწერა/ახსნა და მისი გამოხატვა სხვადასხვა ხერხით.

**მედია ხელოვნების სპეციალობის** სტუდენტი ფლობს ვიზუალური კომუნიკაციის ყველა საჭირო მეთოდებსა და შესრულების ხერხებს (თეორიული და ტექნიკური უნარები, პრაქტიკული გამოცდილება). ერკვევა გრაფიკული და ციფრული დიზაინის ტენდენციებში, მედია საშუალებებში, ვიდეო კონტენტის შექმნასა და კრეატიული პროექტის განხორციელების ყველა ეტაპში.

**აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სპეციალობის** სტუდენტი ერკვევა თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიების საკითხებში, აუდიო- ვიზუალური ხელოვნების მიმდინარეობებში, კინო-ტელე-დოკუმენტური ფილმისა და მულტიმედია პროექტების წარმოების საკითხებში.

**უნარი:** სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებული პრობლემების გადაჭრისათვის. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.

ბაკალავრს შეუძლია მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარების პრაქტიკაში გამოყენება. ბაკალავრს აქვს ინდივიდუალური და გუნდური, შემოქმედებითი შრომის უნარი. შეუძლია დამოუკიდებლად და გუნდში იდეების გენერირება/კონსტრუირება, განვითარება და დემონსტრირება. პროექტის დაგეგმვა, სამუშაო გუნდის ორგანიზება, შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გადაჭრა საჭიროების შემთხვევაში, პროექტის წარმოება. შეუძლია უცხო გარემოში ადაპტირება და შესაბამისად რეაგირება, ტრანსფერული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აქვს ექსპერიმენტირებისა და ინტერპრეტირების უნარი. აქვს აუდიოვიზუალურ ან მედია ხელოვნებასთან დაკავშირებული საკითხების, პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი. ეფექტურად იყენებს შემოქმედებითი აზროვნებისა და შრომის უნარს. შეუძლია საშუალო სირთულის შემოქმედებითი პროექტის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება. ახდენს შემოქმედებითი მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების ადექვატურ შეფასებას, შეუძლია მათი გადაჭრა და შედეგების პროგნოზირება. იყენებს შეფასებისა და ანალიზის უნარს საკუთარი მოსაზრებების ლოგიკურად ჩამოყალიბებისათვის. ახდენს ინდუსტრიის მოთხოვნების შესაბამისად, სწავლის პროცესში მიღებული თეორიული, ტექნიკური და პრაქტიკული გამოცდილების რეალობაში გამოყენებას (სტაჟირების ან დამოუკიდებლად პროექტის განხორციელების პერიოდი).

ბაკალავრი ფლობს პრობლემის ამოცნობისა და მისი ფორმულირების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის გზის შერჩევა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, შედარება, გამოკვლევა, შემოწმება, დამუშავება და ლოგიკური დასკვნის გაკეთება. შეუძლია საკუთარი მოსაზების ჩამოყალიბება, არგუმენტირებულად დასაბუთება და დაცვა/დარწმუნება, შეთავაზების ჩამოყალიბება და ეფექტურად პრეზენტირება. დამაჯერებლად ასაბუთებს საკუთარ შემოქმედებით ხედვას. განიხილავს აუდიო-ვიზუალური ან მედია ხელოვნების სფეროში არსებულ პრობლემებს, გამოწვევებს ან მიმდინარე პროცესებს, შეუძლია მათი დაკავშირება და განცალკევება. აქვს მრავალმხრივი ხედვის, ანალიზის და შეფასების უნარი, მეტ-ნაკლებად კომპლექსურად აანალიზებს სფეროში მიმდინარე პროცესებს. ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების ფორმულირებას. შეუძლია დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრა, შეფასება და სათანადო დასკვნის გაკეთება.

**მედია ხელოვნების სპეციალობის** სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა, ვიზუალური კომუნიკაციის - გრაფიკული და ციფრული დიზაინის პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, ვიდეო კონტენტის შექმნა, საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, პრობლემის აღმოჩენა და რეაგირება, კრეატიული კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება შემოქმედებით ჯგუფთან ერთად.

სტუდენტს შეუძლია კონკრეტული ბრიფში დასმული ამოცანის გაგება და პრობლემის იდენტიფიცირება, მიზნის მისაღწევად ამოცანების განსაზღვრა, ინფორმაციის მოძიება, მისი დამუშავება და ანალიზი, შემოქმედებითი გადაწყვეტილების არგუმენტირებულად დასაბუთება, შემოქმედებითი ჯგუფისთვის საკუთარი მოსაზრების შეთავაზება და დამკვეთთან ეფექტური პრეზენტირება. შესრულებული სამუშაოს კრიტიკული შეფასება.

**აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სპეციალობის** სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტის დაგეგმვა და განხორციელება ყველა ეტაპზე, შეუძლია პროექტზე მუშაობა ინდივიდუალურად და გუნდთან ერთად.

სტუდენტს შეუძლია იდეის ირგვლივ კვლევის ჩატარება და სწავლის პროცესში მიღებული უნარების გამოყენების წარმოჩენა პროექტის ნებისმიერ ეტაპზე. იცნობს აუდიო-ვიზუალურ ინდუსტრიაში მიმდინარე ტენდენციებს და შეუძლია მთავარი აქცენტების გამოკვეთა.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.

ბაკალავრი ითვისებს მისთვის უცხო გარემოში სწორი კომუნიკაციისა და დროული ადაპტაციის ხერხებს. ფლობს კრიტიკული შენიშვნების მომზადებისა და თავისი განსხვავებული პოზიციის დაასაბუთების უნარს. აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის, გააზრებისა და ადეკვატური რეაგირების უნარი.

იღებს და გასცემს ინფორმაციას, შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება. სასწავლო ფორმატი ბაკალავრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას. საკუთარი აზრის ან იდეის მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა. ფლობს ვიზუალურ შემოქმედებით ხერხებსა და აქვს მრავალმხრივი ხედვა. შეუძლია საკუთარი პოზიციის ან შემოქმედებითი ხედვის ფორმულირება, განმარტება, დასაბუთება და შესასრულებელ სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღება. ეფექტური ვერბალური და ვიზუალური პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა. შეუძლია მისთვის საინტერესო თემატიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში მონაწილეობის, საკუთარი მოსაზრებების თანმიმდევრული და არგუმენტირებული გადმოცემა.

ბაკალავრს შეუძლია სწავლის მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად წარმართვა და განვითარება, ინფორმაციის მოძიება, გააზრება და საჭიროების მიხედვით გამოყენება. ავლენს სწავლის პროცესში, სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის დაკავშირების უნარსა და პროფესიონალური ზრდის შესაძლებლობებს.

შეუძლია ცოდნის მუდმივად განახლება. აქვს დამოუკიდებლად სწავლისა და პროფესიული ზრდისკენ სწრაფვის სურვილი. შეუძლია პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავება, მიღებული დავალებების დამოუკიდებლად შესრულება. შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება და მისი გამოყენება. იღებს პასუხისმგებლობას შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე დამოუკიდებლად ან/და გუნდში, გეგმავს და ასრულებს საშუალო სირთულის პროექტებს. ადეკვატურად აფასებს შედეგებს და იღებს პასუხისმგებლობას პროფესიულ განვითარებაზე.

ბაკალავრს გააზრებული აქვს და აცნობიერებს პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს. სათანადოდ აღიქვამს და აფასებს სხვათა ღირებულებებს. გააჩნია კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა უნარი. გაცნობიერებული აქვს ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობა.

**მედია ხელოვნების სპეციალობის** ბაკალავრს შეუძლია დამოუკიდებლად ან/და შემოქმედებით გუნდში პროფესიონალური განვითარება (შემოქმედებითი და პრაქტიკული/ტექნიკური), საკუთარი შესაძლებლობების გააზრება, ხარვეზების აღმოჩენა და მისი შევსება. აქვს შემდგომი სწავლის და განვითარების უნარი კრეატიულ ინდუსტრიაში ადგილის დასამკვიდრებლად. შეუძლია სხვადასხვა შემოქმედებითი ხერხით გადმოსცეს საკუთარი იდეა (ჩანახატი, ფოტო, გრაფიკული, ციფრული და მოძრავი გამოსახულება, ვიდეო, წერილობითი და ზეპირი ფორმა). შეუძლია კრეატიული იდეის ჩამოყალიბება და საინტერესო ხერხით შეთავაზება, შემოქმედებითი ხედვის დასაბუთება და საპროექტო წინადადების მომზადება. გააზრებული აქვს ვიზუალური საკომუნიკაციო დარგის უპირატესობა და შეუძლია ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების ათვისება, რაც დაეხმარება მიზნის მიღწევაში. შეუძლია შემოქმედებითი პორტფოლიოს შექმნა და აქვს მისი შემდგომში განვითარების უნარი.

**აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სპეციალობის** ბაკალავრს შეუძლია ჰოლისტურად შეხედოს პროცესებს, დაინახოს კავშირები შესწავლილ საგნებს და მათ პრაქტიკულ გამოყენებას შორის, შეუძლია მოკლემეტრაჟიანი ფილმის დაგეგმვა და განხორციელება, ტრანსმედია პროექტის შექმნა. შეუძლია გამოცდილებიდან გამომდინარე საკუთარი აზრის გამოთქმა, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და თვითგამოხატვა ვიზუალური ფორმით (ფოტო, ვიდეო, ფილმი, ხმა, ციფრული ტექნოლოგია, წერილობითი და ზეპირი ფორმა). შეუძლია საკუთარი აზრის და იდეის დაცვა და დასაბუთება, შემოქმედებითი ხედვის დასაბუთება და საპროექტო წინადადების მომზადება. მას გააზრებული აქვს ვიზუალური ინფორმაციის უპირატესობა და შეუძლია ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების ათვისება, რაც დაეხმარება დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებაში, განვითარებაში და მიზნის მიღწევაში.

**მედია ხელოვნების მიმართულებით:**

შედეგი 1. განათლება ვიზუალურ ხელოვნებაში

ითვისებს და იყენებს ხელოვნების მიმდინარეობებს, სტილებს და ტენდენციებს თანამედროვე ვიზუალურ კომუნიკაციაში, საკუთარი შემოქმედებითი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

შედეგი 2. შემოქმედებითი კონცეპტუალური ხედვა

ფლობს შემოქმედებითი კონცეფციის ჩამოყალიბების, იდეების გენერირების და განვითარების, კრეატიული, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარს.

შედეგი 3. ვიზუალური კომუნიკაცია

იყენებს გრაფიკული და ციფრული დიზაინის, ვიდეო კონტენტის შექმნისა და ვიზუალური თხრობის მეთოდებს შემოქმედებით ვიზუალურ საკომუნიკაციო პროექტებში.

შედეგი 4. სტრატეგიული გადაწყვეტილებები

შეუძლია სტრუქტურული და კრიტიკული აზროვნება კრეატიული კონცეფციის შესამუშავებლად, ინტეგრირებული კამპანიისთვის მედია მატარებლების და ციფრულ ტექნოლოგიების შერჩევა, დაგეგმვა და მართვა პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

შედეგი 5. ტექნიკური უნარები

ფლობს თანამედროვე ციფრულ, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ირჩევს მეთოდებსა და ხერხებს კონკრეტულ პროექტთან მიმართებაში და იყენებს შემოქმედებითად.

შედეგი 6. ტრანსფერული უნარი

შეუძლია ცოდნისა და უნარების დემონსტრირება, პრაქტიკულად გამოყენება, პროფესიონალური ეფექტური კომუნიკაცია, ნაყოფიერად და ანგარიშვალდებულად მუშაობა გუნდში, კამპანიის კონცეფციების, წინადადებების, განხორციელების გეგმების ეფექტიანად, პროფესიონალურად წარმოდგენა ფორმატისა და ვადების დაცვით.

**აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით:**

შედეგი 1. განათლება ვიზუალურ ხელოვნებაში

ითვისებს და იყენებს ხელოვნების მიმდინარეობებს, სტილებს და ტენდენციებს თანამედროვე ვიზუალურ კომუნიკაციაში, საკუთარი შემოქმედებითი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

შედეგი 2. შემოქმედებითი უნარები

იცნობს ვიზუალური თხრობის ტრადიციულ და თანამედროვე ფორმებს.

შედეგი 3. პრაქტიკული განხორციელება

იცის ვიზუალური პროექტის განცხორციელების ყველა ეტაპი, აქვს საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების მუშაობის სპეციფიკის ცოდნა.

შედეგი 4. აუდიო-ვიზუალური კომუნიკაციის უნარი

შეუძლია პროექტის პოტენციალის შეფასება და ბაზართან მისი რელევანტურობის, დროულობის განსაზღვრა.

შედეგი 5. ტექნიკური უნარები

ფლობს ვიზუალური ნაწარმოების წარმოების ყველა საჭირო ტექნიკურ უნარს (კამერა, ხმა, მონტაჟი, ფერის კორექცია და ა.შ.).

შედეგი 6. ტრანსფერული უნარი

შეუძლია ცოდნისა და უნარების დემონსტრირება, პრაქტიკულად გამოყენება, პროფესიონალური ეფექტური კომუნიკაცია, ნაყოფიერად და ანგარიშვალდებულად მუშაობა გუნდში, შემოქმედებითი პროექტის კონცეფციების, წინადადებების, განხორციელების გეგმების ეფექტიანად, პროფესიონალურად წარმოდგენა ფორმატისა და ვადების დაცვით.

**პროგრამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.**

# ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი/Bachelor of Mass Communication |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.<br>დაინტერესებული პირები საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე.<br>ერთინი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები:<br>• ქართული ენა და ლიტერატურა;<br>• უცხო ენა (ბარდება მხოლოდ ინგლისური ენა)<br>• მათემატიკა/ისტორია | **დასაქმების სფერო:**<br>ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს იმუშაოს, ჟურნალისტიკის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ციფრული მედიის და პროგრამირების სფეროში. |

## პროგრამის მიზანი:

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის  საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

• ფართო თეორიული ცოდნა კომუნიკაციისა და მედიის ძირითად მიმართულებათა შესახებ;
• ცოდნა ციფრული კომუნიკაციის დარგში მსოფლიო გამოცდილების, კომუნიკაციებზე ტექნოლოგიათა გავლენის ისტორიის, თანამედროვეობისა და მომავლის გამოწვევების შესახებ;
• სხვადასხვა მედიუმის საშუალებით კომუნიკაციის პრინციპების ცოდნა;
• კვლევის თანამედროვე სტანდარტების საბაზისო ცოდნა;
• ცოდნა  იმ ღირებულებების, პრინციპების და სტანდარტების შესახებ, რასაც ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკა თანამედროვე მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში.
• სხვადასხვა სახის მედია ორგანიზაციის აგებულებისა და სტრუქტურული რგოლების ფუნქციების ცოდნა.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის  საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

• ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;
• ონლაინ კონტენტის შექმნის, სხვადასხვა აუდიტორიისა და მიზნებისთვის სწორი ფორმატის შერჩევის, კონტენტის დისტრიბუციის სტრატეგიის დაგეგმვის უნარი;
• სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის შეგროვების, გაანალიზების, შეფასებისა და გამოყენების უნარი;
• სხვადასხვა ტიპის ონლაინ მედია პლატფორმის დამოუკიდებლად შეარჩევის, შექმნისა და განვითარების უნარი;
• ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით პროფესიული ამოცანების ეფექტურად გადაჭრის უნარი.

## სწავლის შედეგები:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

ბაკალავრს აქვს კომუნიკაციის ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ ფართო თეორიული, და ციფრული მედიისა და კომუნიკაციის შესახებ სიღრმისეული ცოდნა; ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას კომუნიკაციის თეორიების, პრაქტიკისა და მიმდინარე პროცესების შესახებ და შეუძლია ამ სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

ბაკალავრი ერკვევა ვერბალური, არავერბალური, ვიზუალური თუ ციფრული კომუნიკაციის სხვადასხვა მიმართულებებში; შეუძლია მათი დახასიათება და ამოცანების განსაზღვრა; იგი აცნობიერებს ციფრული მედიისა და კომუნიკაციების ძირითად პრინციპებს და იცის, თუ რას წარმოადგენს საუკეთესო ციფრული კომუნიკაციის პრაქტიკა. ერკვევა და იცნობს სხვადასხვა სახის მედია ორგანიზაციის აგებულებას და სტრუქტურული რგოლების ფუნქციებს: იცნობს და იზიარებს პროფესიული ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებს.

**უნარები**:

ბაკალავრს შეუძლია სწავლისას მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ბაკალავრს აქვს უნარი კონსულტაციების გავლის შედეგად, რესურსის სიმცირის პირობებშიც კი, გამონახოს ადეკვატური და ეფექტური გზები კომუნიკაციასთან და მედიასთან დაკავშირებული პროფესიული პრობლემების მოსაგვარებლად; შეუძლია უცხო გარემოში ადაპტირება და შესაბამისად რეაგირება.

ბაკალავრს აქვს ციფრულ გარემოში კონტენტის შექმნის, სასურველი აუდიტორიისთვის სათანადო ფორმატში მიწოდების უნარი; შეუძლია ინფორმაციის მოძიება ონლაინ წყაროებიდან, დოკუმენტებიდან, მონაცემთა ბაზებიდან და სოციალური ქსელებიდან, მათი შეფასება და გამოყენება საკუთარი კონტენტის შესაქმნელად; პროფესიული მიზნებიდან გამომდინარე შეუძლია სხვადასხვა ვებ-ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა აუდიტორიაზე წვდომა და სხვადასხვა მიზნით და ფორმით კომუნიკაცია. ბაკალავრს შეუძლია ვებსაიტის კომპონენტების გააზრება, მოდიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი პორტალის შექმნა და მართვა. ციფრული კონტენტის შექმნასთან ერთად შეუძლია ონლაინ თემების/მომხმარებლების მართვა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებისთვის.

ბაკალავრი ფლობს არაკომპლექსური პრობლემის ამოცნობისა და მისი ფორმულირების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის გზის შერჩევა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ლოგიკური დასკვნის გაკეთება. ბაკალავრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და არსებული მონაცემების ანალიზის უნარით. შეუძლია მათი მეტ-ნაკლებად კომპლექსურად განსჯა.

ბაკალავრს შეუძლია ლოგიკურად აზროვნება და ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი; ციფრული კომუნიკაციის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემის იდენტიფიკაცია, გამოცალკევება და ერთმანეთთან შედარება; ბაკალავრი ითვისებს აბსტრაქტული აზროვნების უნარს, რომელიც აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტაციის, ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების საშუალებას. ბაკალავრს შეუძლია: ციფრულ კომუნიკაციებში მიმდინარე პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შეფასება; ჩატარებული კვლევის, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მიღებული მონაცემების

სწორი ანალიზი; ახალი ინფორმაციის კონტექსტუალიზაცია; შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა; გადაწყვეტილების მიღება და მისი დაცვა; პრობლემების და მოვლენების კონტექსტში დანახვა და გააზრება.

ბაკალავრს შეუძლია წერილობითი, ზეპირი და ვიზუალური ფორმით გადმოსცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები. თავისუფლად ფლობს ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს და შეუძლია მათი მეშვეობით პროფესიული კომუნიკაცია არხის თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამის სასწავლო ფორმატიდან გამომდინარე, ბაკალავრს შეუძლია გუნდში ნაყოფიერი მუშაობა და ონლაინ კოლაბორაცია.

ბაკალავრს შეუძლია გამართულად მეტყველება და წერა- საკუთარი და სხვისი აზრის როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი, და ვიზუალური ფორმით მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა. შეუძლია მასალის ძირითადი აზრის გაგება და მოკლე შინაარსის დამახინჯების გარეშე გადმოცემა; გუნდში მუშაობა და გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა; საკუთარი მოსაზრებების დაცვა; არსებული პრობლემებისა და მოვლენების შესახებ სასურველ აუდიტორიაზე მორგებული ტექსტური თუ აუდიო-ვიზუალური ნაშრომის შექმნა. აკადემიური პროცესის განმავლობაში შეძენილი მრავალმხრივი ხედვა, შედარებითი და კრიტიკული ანალიზისა და არგუმენტირებულად საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი ბაკალავრს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს ციფრული კომუნიკაციის ნებისმიერ მიმართულებასთან დაკავშირებულ დისკუსიებში; შეუძლია თეორიული მასალისა თუ კვლევის შედეგების თანმიმდევრული და არგუმენტირებული გადმოცემა.

ბაკალავრი ითვისებს მისთვის უცხო გარემოში ეფექტური კომუნიკაციის, დროული ადაპტაციისა და ადეკვატური რეაგირების მეთოდებს. იგი ფლობს კრიტიკული შენიშვნების მომზადებისა და დებატებში ჩაბმის უნარს, აქვს კულტურა მოუსმინოს სხვის აზრს და დაასაბუთოს თავისი განსხვავებული პოზიცია. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია თავისუფლად წარმართოს დიალოგი არასპეციალისტებთან, რადგან მას აქვს გამომუშავებული საკითხების მარტივად ჩამოყალიბებისა და გადმოცემის უნარი.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

ბაკალავრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა. აქვს უნარი, შეაფასოს და ადეკვატურად აღიქვას სხვათა ღირებულებები, იცნობს და აფასებს ზოგაგსაკაცობრიო ღირებულებებს. მას გააჩნია განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი, აქვს სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი.

ბაკალავრი ერკვევა და იზიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. აცნობიერებს სოციალურ, სახელმწიფო და სამოქალაქო პასუხისმგებლობას; გაცნობიერებული აქვს დამოუკიდებელი მედიის მნიშვნელობა დემოკრატიისათვის და მისი ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობები დემოკრატიულ

საზოგადოებაში. იცნობს კომუნიკაციის სპეციალისტების პროფესიული ქცევის ნორმებს და ეთიკურ დილემებს, და შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული საქმიანობის წარმართვისას. ითვალისწინებს საზოგადოების რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ თავისებურებებს. სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, მოქმედებს კეთილსინდისიერად.

ბაკალავრს შეუძლია სწავლის მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

ბაკალავრს შეუძლია ცოდნის მუდმივად განახლება. ისწრაფვის დამოუკიდებლად სწავლისა და პროფესიული ზრდისკენ, რაც ძირითადად პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას გულისხმობს. ბაკალავრს შეუძლია მიღებული სასწავლო დავალებების დამოუკიდებლად შესრულება, საჭირო ინფორმაციის მოძიება არსებული სასწავლო და სხვა რესურსების გამოყენებით; საკუთარი სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა; აქვს დამოუკიდებლად და გუნდში მუშაობის უნარი; პასუხს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება.

შედეგი 1. გაიაზრებს კომუნიკაციის თეორიებს, ფორმებს, ტექნოლოგიებსა და არხებს საზოგადოების განვითარების ჭრილში; გაიაზრებს მედიის როლს ისტორიულ, დემოკრატიულ და სამართლებრივ ჭრილში; აცნობიერებს ტექნოლოგიების გავლენას კომუნიკაციებზე და შეუძლია მსჯელობა თანამედროვეობისა და მომავლის გამოწვევების შესახებ
შედეგი 2. იცნობს ჟურნალისტიკის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინტეგრირებული მარკეტინგის ღირებულებებს, პრინციპებსა და სტანდარტებს და აქვს პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარი
შედეგი 3. ფლობს ზეპირ, წერილობით და აუდიოვიზუალურ ფორმატში ინფორმაციის კომუნიკაციის უნარს.
შედეგი 4. შეუძლია პროფესიული ამოცანის კრიტიკულად შეფასება, ანალიზის საფუძველზე სხვადასხვა აუდიტორიისა და მიზნებისთვის კომუნიკაციის სწორი ფორმატისა და არხების შერჩევა; კონტენტის გავრცელება.
შედეგი 5. იცნობს სხვადასხვა სახის მედია ორგანიზაციის აგებულებისა და სტრუქტურული რგოლების ფუნქციებს; შეუძლია სხვადასხვა ტიპის ონლაინ მედია პლატფორმის დამოუკიდებლად შეარჩევა, შექმნა და განვითარება; იცნობს მართვის თანამედროვე მეთოდებს.
შედეგი 6. აქვს სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის შეგროვების, გაანალიზების, შეფასებისა და გამოყენების უნარი; კვლევის თანამედროვე სტანდარტების საბაზისო ცოდნა.
შედეგი 7. შეუძლია კოლაბორაციული გუნდური მუშაობა და ლიდერობის უნარების გამოყენება

**პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.**

# საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br>საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი / Master of Public Relations |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.<br>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებიც:<br>• წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას<br>• წარმატებით გაივლიან შიდა საუნივერისტეტო გამოცდას/გასაუბრებას სპეციალობაში<br>• წარმატებით ჩააბარებენ უნივერისტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ინგლსიურ ენაში (B2 დონე). | **დასაქმების სფერო:**<br>საზოგადოებრივ ურთიერთობებში სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმება შესაძლებელია საზოგადოებრივი ურთიერთობების, კომუნიკაციებისა და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების დეპარტამენტებსა და სახელმწიფო, კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედია სექტორში.<br>კურსდამთავრებულებს, ასევე შეეძლებათ განახორციელონ დამოუკიდებელი პროექტები, ინდივიდუალური შეკვეთების სახით შექმნან სხვადასხვა საკომუნიკაციო სტრატეგიები და კონსულტაცია გაუწიონ დაინტერესებულ პირებს. |

**პროგრამის მიზანი:**

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მომზადება, რომელიც შეძლებს ორგანიზაციის ეფექტური საზოგადოებრივი ურთიერთობების უზრუნველყოფას, შედეგზე ორიენტირებული მართვის, საკომუნიკაციო სტრატეგიის, ტაქტიკისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- სიღრმისეული და სისტემური ცოდნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში და სისტემური ცოდნა მარკეტინგისა და მენეჯმენტის სფეროში (თეორიული ცოდნა);
- მართვის მოდელების ცოდნა, მათი კრიტიკული გააზრება და გაანალიზება, სხვადასხვა გარემოში შესაბამისი მართვის მოდელის გამოყენება, კრიზისულ სიტუაციაში დასაბუთებული, არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი (შედეგზე ორიენტირებული მართვის ცოდნა /უნარი);
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში აკადემიური და გამოყენებითი კვლევის მეთოდების სიღრმისეული და სისტემური ცოდნა; კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი (კვლევა);
- ვიზუალური თხრობის პრინციპების სიღრმისეული ცოდნა და კონცეფციის შექმნიდან, სამიზნე აუდიტორიასთან წვდომამდე, კონტენტის წარმოებისა და შესაბამისი საკომუნიკაციო არხებით გავრცელების უნარი (ვიზუალური თხრობა);
- შედეგზე ორიენტირებული საკომუნიკაციო, სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი (საკომუნიკაციო, სტრატეგიის დაგეგვმისა და განხორციელების უნარი);
- პროექტის, ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (პროექტის, ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი);
- კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარების დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა (ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა);

**სწავლის შედეგები:**

**სწავლის შედეგი 1**
**დარგობივი ცოდნა**

მაგისტრი ფლობს ღრმა/სისტემურ ცოდნას საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სფეროში: იაზრებს სფეროსთვის დამახასიათებელ თანამედროვე მიდგომებს, მეთოდებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს, აქვს ცოდნა კორპორაციული კომუნიკაციის, მედიასთან ურთიერთობის, კონტენტ მარკეტინგის, ციფრული კომუნიკაციების და სხვა შესაბამის სფეროში. აცნობიერებს ნებისმიერი საქმიანობისა და გადაწყვეტილების ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობას.

**სწავლის შედეგი 2**
**საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა**

მაგისტრი ფლობს და იყენებს სისტემურ ცოდნას საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის პრინციპებისა და მოდელების შესახებ, კრიტიკულად იაზრებს და აანალიზებს სხვადასხვა გარემოში საზოგადოებასთან ურთიერთობის შესაბამის მართვის მოდელს; მაგისტრი განსაზღვრავს ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხედვას, სტრატეგიას, სტრუქტურასა და საქმიანობის ორგანიზებას;

**სწავლის შედეგი 3**
**კვლევა**

მაგისტრი ტრადიციული და ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, ამუშავებს, აანალიზებს და აფასებს მას, განმარტავს შედეგებს, აკეთებს დასკვნებს, საჭიროებისამებრ განაზოგადებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მაგისტრს აქვს მონაცემების ორგანიზების, კლასიფიცირების, სტრუქტურირების, სისტემატიზაციისა და პირველადი დამუშავების მეთოდების სწორად გამოყენების უნარი;

**სწავლის შედეგი 4**
**ვიზუალური თხრობის პრინციპების გამოყენება**

მაგისტრი ფლობს ვიზუალური თხრობის პრინციპების სიღრმისეულ ცოდნას ვიდეო პროდუქტის შესაქმნელად, დამოუკიდებლად ანვითარებს იდეას და აწყობს ლოგიკურ სტრუქტურას, გეგმავს და ქმნის სხვადასხვა ფორმატის კონტენტს. კონტენტის შესაბამისად არჩევს ამბის თხრობის ტექნიკებს, დამოუკიდებლად იღებს და ამონტაჟებს მასალას Premier Pro CC-ის გამოყენებით. მაგისტრი აანალიზებს კადრის სტრუქტურულ ელემენტებს და ფლობს მონტაჟის რეჟისურის საფუძვლებს.

**სწავლის შედეგი 5**
**საკომუნიკაციო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება და მართვა**

მაგისტრი, ორგანიზაციის მისიის, ხედვის, ამოცანების გათვალისწინებით შეიმუშავებს საკომუნიკაციო სტრატეგიას, (მათ შორის: კრიზისული კომუნიკაციის გეგმას, სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამას და ა.შ.) და შესაბამის სამოქმედო გეგმას. თანამედროვე ტექნოლოგიებსა და საკომუნიკაციო ტენდენციებზე დაყრდნობით, მაღალი პროფესიული სტანდარტით ახორციელებს შესაბამის აქტივობებს.

**სწავლის შედეგი 6**
**პროექტისა და ღონისძიებების მართვის ინსტრუმენტებისა და მეთოდიკის გამოყენება**
მაგისტრი იყენებს პროექტის მართვის ინსტრუმენტებსა და მეთოდიკას; განსაზღვრავს პროექტის მიზნებს და მათი წარმატებით შესრულების მიზნით გეგმავს განსახორციელებელი ღონისძიებების თანმიმდევრობას, ითვალისწინებს დროით, ადამიანურ, მატერიალურ, ფინანსურ და საჭიროებისამებრ სხვა რესურსებს; ფლობს პროექტის ორგანიზებისა და მართვისთვის საჭირო ცოდნას;

**სწავლის შედეგი 7**
**პროფესიულ საქმიანობასა და განვითარებაზე პასუხისმგებლობა**

მაგისტრი აცნობიერებს პროფესიულ და ეთიკურ ვალდებულებებს, შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა და უნარები საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მიმდინარე მეცნიერულ მიღწევებზე დაყრდნობით, აქვს უნარი დაინახოს საკუთარი სწავლის პროცესი პერსპექტივაში, მოახდინოს შემდგომი საჭიროებების დადგენა და დაგეგმოს მომავალი სწავლის პროცესი.

**პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** აქ.

# მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**<br>მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჟურნალისტიკის მაგისტრი/Master of Journalism |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი | **სწავლების ენა:** ინგლისური |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.<br>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებიც:<br>• წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას<br>• წარმატებით გაივლიან შიდა საუნივერისტეტო გამოცდას/გასაუბრებას სპეციალობაში<br>• წარმატებით ჩააბარებენ უნივერისტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ინგლსიურ ენაში (B2 დონე). | **დასაქმების სფერო:**<br>საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს წარმატებით იმუშაოს კერძო, საჯარო და საზოგადოებრივ სექტორში. |

**პროგრამის მიზანი:**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს და ჩამოუყალიბოს:

- ღრმა და სისტემური ცოდნა მულტიმედია ჟურნალისტიკის, ანტრეპრენერული ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის პრინციპების, სტანდარტების, უახლესი ტენდენციებისა და მიდგომების შესახებ;
- მედია პროდუქტის შექმნისთვის აუცილებელი უახლესი ტექნიკური ინსტრუმენტების ფლობის უნარი.
- მულტიმედია ჟურნალისტიკას, მედია მენეჯმენტსა და მედიაკვლევაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი;
- კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიზზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
- კომუნიკაციის უნარი
- ტრანსფერული უნარი

- პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული მტკიცე ღირებულებათა სისტემა და პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი

**სწავლის შედეგები:**

**შედეგი 1 - ცოდნა**

მაგისტრი სიღრმისეულად იაზრებს ჟურნალისტიკის, ანტრეპრენერული ჟურნალისტიკის, მედია მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპებს, სტანდარტებს, უახლეს ტენდენციებსა და მიდგომებს, ასევე, იყენებს მედიაკვლევის მეთოდოლოგიებს, რის შედეგადაც ქმნის მაღალი პროფესიული ხარისხის ჟურნალისტურ ნაშრომებს, მულტიმედიურ პროექტებს და საკუთარ მედია პლატფორმებს; ასევე, აწარმოებს და აფასებს გამოყენებით და აკადემიურ კვლევევს; აცნობიერებს და იაზრებს ანტრეპრენერობის პრაქტიკულ ასპექტებსა და პროფესიასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ გარემოს.

**შედეგი 2 - ტექნიკური უნარები**

მაგისტრი იყენებს მულტიმედიური ჟურნალისტური ნაშრომისა და ციფრული მედია პროდუქტის წარმოებისთვის ყველა საჭირო უახლეს ტექნიკურ საშუალებას, როგორიცაა ვიდეო და ფოტო კამერები, მობილური ტელეფონები, სამონტაჟო პროგრამები, ხმის ჩამწერი მოწყობილობები, განათების სისტემები, მედია პროექტების წარმოებისა და განხორციელების სხადასხვა ციფრული პლატფორმა, და ა.შ.

**შედეგი 3 - პრაქტიკა**

მაგისტრი იყენებს პროგრამაში შემენილ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას: დამოუკიდებლად და ოპერატიულად ახორციელებს მულტიმედიური ჟურნალისტური ნაშრომის შექმნისთვის საჭირო ყველა ოპერაციას, ამბის მოძიებიდან მის გავრცელებამდე; არჩევს და აწარმოებს სხვადასხვა პლატფორმასთან შესაბამისი მედია პროდუქტის ფორმას და შინაარს; წარმართავს ციფრული მედია პროდუქტის წარმოების პროცესის თითოეულ ეტაპს და როგორც დამოუკიდებლად, ასევე გუნდურად ასრულებს პროდუქტის შექმნისათვის აუცილებელ ყველა როლს; მაგისტრი ქმნის რეალისტურ ბიზნეს მოდელს და მოქმედებს როგორც ანტრეპრენერი ჟურნალისტი; გეგმავს და ახორციელებს გამოყენებით ან აკადემიურ კვლევას; ქმნის და ავითარებს ინოვაციურ ფორმატებს, პროცესებსა და პროდუქტებს.

**შედეგი 4 - კრიტიკული ანალიზი**

მაგისტრი განსაზღვრავს მნიშვნელოვან საკვლევ კითხვას; იძიებს, ამუშავებს და აანალიზებს ახალ და კომპლექსურ პროფესიულ და აკადემიურ ინფორმაციას; ამუშავებს, აანალიზებს, აორგანიზებს, ასინთეზირებს და საფუძვლიანად აფასებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს; სიღრმისული კვლევის საფუძველზე მოძიებულ ფაქტებსა და მოსაზრებებზე დაყრდნობით ქმნის ობიექტურ, დაბალანსებულ და მიუკერძოებელ მედია პროდუქტს და აკადემიურ კვლევაზე დაფუძნებით ავითარებს არგუმენტირებულ მოსაზრებას; განსაზღვრავს ამბის ფოკუსს და პრიორიტეტულობას, ასევე, სამიზნე აუდიტორიას და მის საჭიროებებს; აფასებს მედია პროდუქტის/სტარტაპის პოტენციალს და მის დროულობას/საბაზრო რელევანტურობას;

**შედეგი 5 - კომუნიკაცია**

მაგისტრი ეფექტიანად, პროფესიონალურად წარადგენს პროექტის კონცეფციებს, წინადადებებს, განხორციელების გეგმებს ფორმატისა და ვადების დაცვით (წერილობით და ვერბალურად); ახდენს ინიციატივისა და მაღალი მოტივაციის დემონსტრირებას; ნაყოფიერად და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით მუშაობს გუნდში;

**შედეგი 6 - ტრანსფერი**
მაგისტრს ადეკვატურად გადააქვს მიღებული ცოდნა და ათვისებული უნარ-ჩვევები სხვა კონტექსტში და განსხვავებულ სიტუაციებში და ეფექტურად იყენებს მათ, რაც ასევე მოიცავს სხვადასხვა თეორიული მიდგომისა და პრინციპის ინტეგრირებას და ცოდნის მუდმივ განახლებას (პროფესიულ ზრდას);

**შედეგი 7 - ღირებულებები**
მაგისტრი იაზრებს დამოუკიდებელი მედიის როლს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების, ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების პროცესში; აცნობიერებს იმ მაღალ პასუხისმგებლობას, რაც ჟურნალისტის, ანტრეპრენერის, მკვლევარის და მედია მენეჯერის პროფესიულ საქმიანობას ახლავს თან; იცავს ჟურნალისტიკის სამართლებრივ და მაღალ ეთიკურ ნორმებს, სხვა პროფესიულ სტანდარტებს და შეაქვს წვლილი ჟურნალისტიკის სფეროს განვითარებაში; აცნობიერებს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მნიშვნელობასა და პლურალისტული და თავისუფალი მედია გარემოს არსებობის აუცილებლობას.

**პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი / Doctor of Social Sciences |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:**<br><br>სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო (არაუმეტეს 60 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტებს. პროგრამა შედგება ექვსი სემესტრისგან, თუმცა დამატებითი სემესტრების აღება დასაშვებია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. | **სწავლების ენა:** ქართული |
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** დოქტორანტურა | **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**<br><br>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ უნივერისტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ინგლსიურ ენაში (B2 დონე). | **დასაქმების სფერო:**<br><br>სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასწავლო და კვლევით ინსტიტუტებში, კერძო/დამოუკიდებელ კვლევითი ორგანიზაციებში და ა.შ. |

**პროგრამის მიზანი:** სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს სოციალური მეცნიერებების სფეროში თეორიული და პრაქტიკული საკითხების მეცნიერულ კვლევას, სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი ცოდნის შექმნას, დარგის განვითარებისთვის ხელის შეწყობას, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადებას, მათ საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვას, რაც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მიერ ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანისათვის. შესაბამისად სადოქტორო პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან.

სოციალურ მეცნიერებათა  სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს სოციალურ მეცნიერებათა  სფეროს ქვედარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- გამოუმუშაოს არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენებისა და  ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გამოუმუშაოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- გამოუმუშაოს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციების სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებისა და გამოქვეყნების უნარი;
- გამოუმუშაოს სამეცნიერო კვლევის აკადემიურად სტრუქტურირების, ლოგიკური მსჯელობისა და არგუმენტირების, აგრეთვე სამეცნიერო კვლევის შედეგების განზოგადების  უნარი;
- გამოუმუშაოს პრობლემათა იდენტიფიცირებისა და ანალიზის,  აგრეთვე პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გამოუმუშაოს პრაქტიკულ საქმიანობაში სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენების უნარი;
- გამოუმუშაოს სოციალურ მეცნიერებათა ქვედარგში გლობალურ პრობლემატიკაში იოლად ადაპტირების უნარი.

**სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:**

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი წარმოადგენს დარგის ექსპერტს, რომელსაც აქვს უნარი შექმნას ახალი ცოდნა, შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, დამოუკიდებლად და მაღალკვალიფიციურად შეასრულოს კვლევა თანამედროვე მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით, რომლის შედეგებიც გამოქვეყნებას იმსახურებს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, მისი სპეციალობით, სალექციო კურსის მომზადება და ჩატარება, სხვა კვლევითი პროექტისთვის ზედამხედველობის გაწევა. მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა ინტერდისციპლინარული კვლევის შესრულების დროს.

**სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:**

**ცოდნა და გაცნობიერება**

- სოციალური მეცნიერებების ერთერთი დარგის უახლეს ან/და აქტუალურ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე.
- ფლობს დარგში სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს.
- არსებულ ცოდნას კრიტიკულად იაზრებს  და ნაწილობრივ გადაფასების გზით  აცნობიერებს ცოდნის განახლებულ ფარგლებს

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება**

- სწავლისას დროს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევას.
- შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს და მიდგომებს.
- დამოუკიდებლად არჩევს საკვლევ საკითხებს, აყალიბებს კვლევის კითხვებს და ჰიპოთეზებს
- ირჩევს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ ინოვაციური კვლევის სტრატეგიას.

**დასკვნის უნარი**

- აქვს ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და სინთეზის უნარი;
- კრიტიკულად აანალიზებს რთულ და ხშირად წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების და განვითარების ხელისშეწყობის მიზნით.
- სინთეზის და შეფასების საფუძველზე დამოუკიდებლად იღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.
- კვლევის შედეგების საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს.
- აქვს პრობლემების მეცნიერული ინტერპრეტირების უნარი, რაც საჭიროა საერთაშორისო სტანდარტის დონეზე საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის.

**კომუნიკაციის უნარი**

- სამეცნიერო მოხსენებების და პრეზენტაციების მომზადების უნარი, როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე ფართო აუდიტორიისათვის;
- დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს ახალ ცოდნას არსებულთან ურთიერთკავშირში.
- დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე ერთვება დისკუსიაში სამეცნიერო საზოგადოებასთან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, ჯგუფში მუშაობის, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების გზით.

**სწავლის უნარი**

- სწავლის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ავითარებს, კრიტიკულად იაზრებს და ნერგავს ახალ იდეებს.
- განსაზღვრავს სწავლის საჭიროებებს, დამოუკიდებლად გეგმავს/ახორციელებს, სწავლებას და სასწავლო პროცესს
- ეფექტიანად მართავს დროსა და რესურსებს.

**ღირებულებები**

- იკვლევს ღირებულებათა დამკვიდრების გზებს, შეიმუშავებს მათ დასამკვიდრებლად ინოვაციურ მეთოდებს.
- ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს, იცავს პროფესიონალური საქმიანობის ეთიკის ნორმებს.
- აფასებს და პატივს სცემს კოლეგების აზრს
- გაცნობიერებული აქვს სამეცნიერო კვლევის ეთიკა.

**პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ** [აქ.]

# უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

- იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომელთაც აქვთ ქართული ენის კომპეტენცია - **120** კრედიტი
- იმჩარიცხულიპირებისთვის,რომელთაცარააქვთქართულიენისკომპეტენცია-**150**კრედიტი სწავლების

ენა: ქართული პროგრამის მიზ ანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

სწავლის შედეგები:კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა;
- შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები;
- შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი;
- შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები;
- დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთოების წესები;
- განახორციელოს ევაკუაციის პროცესები;
- გაწიოს პირველადი გადაუდებელიდახმარება;
- გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები;
- აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება;
- შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა;

- განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი;
- დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება;
- აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება;
- აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერი/სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს**:**

სხვადასხვა სფეროების: მშენებლობის, ელექტრომომარაგების,წყალმომარაგების,ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის,ტრანსპორტის,მძიმემრეწველობის,სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებო დაწესებულებებში:

- უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად;
- ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად/მენეჯერად;
- შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად;
- დაბინძურების ინსპექტორად;
- ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვისოფიცერად;
- შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველად;
- გარემოს დაცვის მრჩეველად;
- შრომის ჰიგიენის სპეციალისტად/მენეჯერად;
- ნარჩენების შეგროვების სპეციალისტად;
- ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად;
- დაბინძურებისაგან გასუფთავება-ნარჩენების მართვის ინსპექტორად;
- უსაფრთხოების დაცვის სპაციალისტად/მენეჯერად;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად;
- სახელმწიფოსშრომის ინსპექტირებისსამსახურებშიშრომისუსაფრთხოებისადაგარემოსდაცვითიტექნოლოგიებისმენეჯერადანსპეციალისტად;
- სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

## საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)|

### სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით; გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული(კომპეტენციების დადასტურებაზედაფუძნებული)სისტემისგამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელიშეფასებისასუარყოფითიშედეგისმიღებისშემთხვევაშიპროფესიულსტუდენტსუფლებააქვსპროგრამისდასრულებამდეემოითხოვოსსწავლისშედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

**პროგრამის ხელმძღვანელი:** ნანა ქაშაკაშვილი
თამარ დოლიძე

გურამ ფანჯიკიძის N1/პეკინის გამზირი N42ა თბილისი, 0160, საქართველო

ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995 591) 194313
E-mail: n.kashakashvili@gipa.ge